577 ~ 9249

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

1980 | 1 აგვისტო, პარასკევი
№ 31 (2208)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

## მწერლის სამუშაო ზაფხული

მწერლის ზაფხული მაინც შემოქმედებითი შრომაა. სადაც არ უნდა წავიდეს, მწერალი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, თავის მომავალ გმირებთან ცხოვრობს, იმ პრობლემებზე ფიქრობს, რაც ყველაზე უფრო სადღეისოა და აქტუალური.

შემოდგომაზე მწერალი უხვი შთაბეჭდილებებით ბრუნდება თავის საწერ მაგიდასთან... რედაქციაში მოდის ლექსების ახალი ციკლები, პოემები და მოთხრობები, მახვილი, მებრძოლი პუბლიცისტიკა, ლიტერატურული ნარკვევები ჩვენი დღეების გმირებზე, ახალმშენებლობათა ქრონიკები.

საქართველოს მწერალთა კავშირმა წელსაც მრავალი მწერალი მიავლინა რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საზაფხულო იალაღებზე და ფერმებში. სამოცდაათამდე მწერალი გაეცნობა რესპუბლიკის ბოლო დროის მიღწევებს, თავის მართალ სიტყვას შეაშველებს ჩვენს მშრომელებს, გაიზიარებს სიძნელეებს, გაიხარებს მათი სიხარულით და გამარჯვებით; გაზეთის ტრადიციული რუბრიკა „მწერალი მივლინებაში“ წარმოგიდგენთ ახალ ნარკვევებს და პუბლიცისტურ სტატიებს.

სიძნელეები კი წელს ბევრი შეხვდათ ჩვენი სოფლის მუშაკებს: გაზაფხულის უამინდობა, ზაფხულის გვალვა...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამის თაობაზე საგანგებოდ მიმართა რესპუბლიკის მშრომელებს. მიმართვაში ნათქვამია:

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, კომკავშირელები, ყოველი მშრომელი ღრმად შეიგნებენ შექმნილი მდგომარეობის სერიოზულობას და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ დაძლეული იქნეს გვალვის მძიმე შედეგები. ეს კი იქნება იმის მნიშვნელოვანი პირობა, რომ წარმატებით შევასრულოთ მეათე ხუთწლედის დავალებანი, არ დავუშვათ სერიოზული შეფერხებები მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგებაში, ღირსეული შრომითი წარმატებებით შევხვდეთ პარტიის XXVI ყრილობას“.

დიახ, ჩვენი მშრომელების ერთსულოვნება გადალახავს ყველა სიძნელეს, დამარცხდება გვალვა და უამინდობა, ადამიანის ძალა და შემართება სძლევს ბუნების ჭირვეულობას. მით უფრო, რომ საამისო გამოცდილება უკვე გვაქვს: ჩვენ ღირსეულად გადავლახეთ მრავალი სიძნელე და გამარჯვებულნი გამოვედით.

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვანი შრომით, აღფრთოვანებით ემზადება სკკპ XXVI ყრილობისათვის. რესპუბლიკის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იქნება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა. ყველა გამარჯვება, რომელსაც წინასაყრილობო დღეებში მოვიპოვებთ, პარტიის დიად ფორუმს მიეძღვნება. ახალ წარმატებებს მოიპოვებენ რუსთავის მეფოლადენი თუ ენგურჰესის და ჟინვალჰესის მშენებლები, ფაბრიკა-ქარხნების გმირი მშრომელები თუ ახალი საცხოვრებელი მასივების, ახალი კორპუსების ამგებნი, მეჩაიეები თუ მევენახეები... ახალ შემოქმედებითს გამარჯვებას მიაღწევენ სიტყვის ოსტატები, ახალი ნაწარმოებებით გამდიდრდება ჩვენი ლიტერატურა, რომელიც ხალხის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იდეური სიმახვილე, ხალხურობა, რაც ასე ნიშანდობლივია თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის, კვლავაც საწინდარი იქნება დიდ შემოქმედებით წარმატებათა მოპოვებისა.

„მწერალი მივლინებაში“ — ეს არ არის ჩვეულებრივი საგაზეთო რუბრიკა. ეს ნიშნავს მწერლის მზადყოფნას იყოს იქ, სადაც უფრო მეტად სჭირდებათ მხატვრული სიტყვა, სადაც მწერლის თვალი უფრო კარგად შეამჩნევს ავსა და კარგს. „მწერალი მივლინებაში“ — გამოხატავს შემოქმედი-მოქალაქის აქტიურ საზოგადოებრივ პოზიციას, დაუცხრომელ შემართებას, მაძიებლობას არა მხოლოდ მხატვრულ სიტყვაში, ცხოვრებაშიც...

# ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი „პრავდის“ რედაქციის კითხვებზე

1. კითხვა: ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მე-5 წლისთავთან დაკავშირებით როგორ აფასებთ ჰელსინკის საბოლოო აქტის გავლენას ევროპის მდგომარეობის განვითარებაზე?

პასუხი: საბჭოთა კავშირი ამ თათბირსა და მის შედეგებს ერთნაირ შეფასებას აძლევს. ეს შეფასება დადებითია. გართულებული საერთაშორისო ვითარების პირობებში ჰელსინკის შედეგების მნიშვნელობა კი არ კლებულობს, არამედ იზრდება.

მღელვარებით ვიხსენებ 1975 წლის 1 აგვისტოს ნაშუადღევს. მაშინ „ფინეთის“ კონგრესთა სასახლეში ევროპის 33 სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ხელმძღვანელები ერთ მაგიდას მიუსხდნენ ერთმანეთის გვერდით და ხელი მოაწერეს საბოლოო აქტს. ეს იყო ხალხთა დიდი იმედების დღე. ეს იყო აგრეთვე დღე, როცა რეალისტურად განვჭვრიტეთ მომავალი, რომელიც მოკლებული არ იყო წუხილს, იმის გამო, თუ როგორი იქნებოდა იგი ხუთი თუ ათი წლის შემდეგ.

და აი, დღეს კიდევ უფრო ნათელია, რომ საბოლოო აქტის დაბადება დიდი მოვლენა იყო ომისშემდგომი ევროპის ისტორიაში, რომელიც ფართო შესაძლებლობებს უსახავდა მშვიდობიან განვითარებას, რასაც ეს დოკუმენტი უნდა ემსახურებოდეს.

ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირის ტრიბუნიდან გამოსვლისას საგანგებოდ აღვნიშნე, მისი გადაწყვეტილებანი ვერ უნდა შეარყიოს-მეთქი პირველმავე ავდარმა. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, და ეს შემდეგ კიდეც დადასტურდა: დაძაბულობის შენელების პოლიტიკაში მოქცევაც შეიძლება იყოს და უკუქცევაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრული საფუძველი გვაქვს საბოლოო აქტი შევადაროთ კარგ ზვირთსაჭრელს, რომელიც აღმართულია ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ნიადაგს აცლის დაძაბულობის შენელებას.

2. კითხვა: როგორ გგონიათ, საბოლოო აქტს კვლავაც ექნება კეთილნაყოფიერი ზემოქმედება?

პასუხი: დიახ, ექნება.

ეს დოკუმენტი უნიკალურია ისევე, როგორც უნიკალურია თვით სრულიად ევროპის თათბირი. მე ასე ვიტყოდი: ეს არის წერილი, რომელიც თაობამ, მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი რომ გადაიტანა, გამოუგზავნა იმათ, ვისთვისაც საიმედოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი ადამიანის უპირველესი უფლება — სიცოცხლისა და მშვიდობის უფლება.

თუ ევროპის განვითარების მიმდინარეობას ახლანდელი მომენტის პრიზმით კი არა, ისტორიული პერსპექტივით შევხედავთ, ჰელსინკიდან უკან დასახევი გზა არ არსებობს. საბოლოო აქტი, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაც, კაცობრიობის ცივილიზაციას უადვილებს საერთაშორისო ურთიერთობაში ახალ, უფრო მაღალ დონეზე გადასვლას.

აი, რატომ არის, რომ საბოლოო აქტის ხელმოწერის დღე შეიძლებოდა გამხდარიყო „ევროპის დღე“ ისევე, როგორც თავიანთი სამახსოვრო დღეები აქვთ სხვა კონტინენტების ხალხებს. მაგრამ ეს დღე მარტო დღესასწაული როდია. იგი ამავე დროს მოწოდებაც არის იმისათვის, რომ დაძაბულობის შენელება და მშვიდობა საბოლოოდ დამკვიდრდეს.

ახლა უახლოესი ამოცანაა კონსტრუქციულად მოვაწყოთ და მნიშვნელოვანი შედეგებით დავამთავროთ სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მადრიდის შეხვედრა, უზრუნველვყოთ ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების კონფერენციის მოწვევა. საბჭოთა კავშირი მზად არის ღირსეული წვლილი შეიტანოს ამ ორივე ფორუმის მუშაობაში.

მთავარია გამოვნახოთ ომის საფრთხის შენელების გზები ახლა და მომავალში ევროპისათვის და, მაშასადამე, მთელი მსოფლიოსთვისაც. ამ ამოცანის გადასაწყვეტად კი აუცილებელია რეალური ძვრები გამალებული შეიარაღების შეზღუდვის სფეროში.

მაშ ასე, დაძაბულობის შენელება, თანამშრომლობა, უშიშროება — ასეთია ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გენერალური ხაზი, როგორც ევროპის საქმეებში, ისე მთლიანად მსოფლიო პოლიტიკაშიც.

## მწერალი მივლინებაში

გაზაფხულობით, მიწა მწვანით რომ იმოსება და ხე-ბუჩქი შრიალს იწყებს, ერთბაშად აგორდება ხოლმე ათასი გადაუდებელი საქმე: ვაზიც მაშინ ითხოვს ფურჩქნაახვევას, შეწამვლას, სიმინდი — თოხნა-გამოხშირვას, ბოსტნეული — გამარგვლასა და ძირის ამჩვილებას; ხენაყიცა და სილოსიც დასაბინავებელია. როგორც იტყვიან, საქმე დანა-ყელზეა მიმდგარი. მაშინ, რაკი სხვა გამოსავალი არ ჩანს, ისევ შაბათობით მოვითქვამთ ხოლმე სულს. დღე დღეს მისდევს და შაბათობები არ მთავრდება, მაგრამ არავინ ბუზღუნებს ამაზე, იციან — დროულად თუ ჩაატარე საგაზაფხულო სამუშაოები, შემოდგომაც ბარაქას გამოიღებს. თუმცა ამინდიცა და უამინდობაც გადამწყვეტია ჯერჯერობით; ჯერჯერობით ასეა და, რას იზამ!

რაც უნდა გამრჯე იყოს კაცი, გეზიანად თუ არ იქცევა, ვერ შეაცოტავებს საქმეს. შარშან ერთი გონიერი ანდაზა ჩავიწერე კახეთში, მტერმორეული სჯობია მამულმორეულსაო. გამომიცდია, გადამიტანია და ამიტომაც მომეწონა მისი სიბრძნე: საცოდაობაა, საქმეს რომ ვერ აუდიხარ. ხალხს არასოდეს მოკლებია სიბრძნე... ხალხი ხალხად, მაგრამ ხელმძღვანელი და ხელმძღვანელობა მაინც მთავარი. ასე არ იყოს, ხშირად მოწმენიც არ ვიქნებოდით მავანი და მავანი ხელმძღვანელი ამხანაგის გაკრიტიკება-მოხსნისა, უგერგილო, მოუქნელი მუშაობის გამო. ამ დროს იტყვიან ხოლმე, საქმეს თავი ვერ გაართვაო. მშვენიერი ნათქვამია, აზრი არ აკლია და ხატოვანება.

გამოუცდელი კაცი ვერაფრით ვერ დაიჭერებს, თოხნასაც რომ ცოდნა უნდა: ხელის მონაცვლეობა თუ არ იცი, რიტმს თუ არ იცავ, რაღაც ათიოდე წუთში ოფლად გაიღვრები და არც გული გაგიჩერდება ბუდეში; შორიდან ყურება კი, იცოცხლე, ადვილია, ადვილია და სასიამოვნო.

გურჯაანის რაიონში შაბათობები რომ დაიწყო, როგორც იტყვიან, ქუდზე კაცი გავიდა სამუშაოდ. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რაკი ხელმძღვანელობა ჩაუდგა სათავეში, არა მოწოდებებით, არამედ საქმით. როგორი ამბავია: პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ბიჭიკო შინჯიაშვილმა თოხს მოჰკიდა ხელი! ამით თავი კი არ მოაწონა ვინმეს, ხალხი პირადი მაგალითით გაიყოლა. ვინც მისი გარჯა ნახა, გაოცებითა შლის ხელებს, ისე სცოდნია თოხნა, ნალდ გლეხს არ ჩამოუვარდებაო. არც გამკვირვებია — გლეხის შვილია, ბავშვობიდან მიჩვეულია გარჯას, მიწა უყვარს, იცის მიწის მადლიც, მადლიც, სატკივარიც... აქ უჩვეულო ის კი არ არის, რომ თოხი არ ითაკილა, თოხნა სცოდნიაო, კაცო, თოხნაო! თოხნაც იცის, ვაზის სხვლაც, შეწამვლაც... სწორედ მიწის სიყვარულმა დაამთავრებინა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი... წითელწყაროში მივდიოდით, მისი სოფელი, მაღარო რომ გავიარეთ, უკან მიიხედა და მითხრა — კვირას ვენახი უნდა შევწამლოო. ასეა: თვითონ შეწამლავს ხოლმე თავის საკარმიდამო ვენახს — თავის მოსაჩვენებ-



ლად კი არა, დამინახონ, რაიკომის მდივანი ვარ და აპარატი არ მეუცხოვებაო, უყვარს ვენახი, და რაკი უყვარს, მუშაობაც სიამოვნებს.

პირველი შთაბეჭდილება ყოველთვის მაცდურია. მაგრამ უკვე საკმაო ხანია ვიცნობ ბიჭიკო შინჯიაშვილს, მისაუბრია მასთან და ის პირველი კეთილი შთაბეჭდილება არ გამნელებია, პირიქით: უფრო და უფრო ღრმად ვრწმუნდები, რომ ეს კაცი მიწის მოფერება-სიყვარულისთვის არის დაბადებული. საოცრად უშუალოა, უცებ, თითქმის ერთბაშად უახლოვდება ადამიანს. ამიტომ, ვინც მასთან შედის მიღებაზე, ყველა კმაყოფილი გამოიკეტავს ხოლმე კარს. მოხუცები ამბობენ, ძველი ყაიდის კაციაო, ამაში, ბუნებრივია, ის უბრალოება იგულისხმება, რითაც გამოირჩევა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი.

ჩიტი რომ ილვიძებს, მაშინ მიდის რაიონის ზვრებს, ველმინდვრების, ფერმების დასახედად. ცხრა საათზე ისევ სამსახურშია და იწყება მომქანცველი დღე. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თუ მეურნეობის დირექტორს, ანდა რომელიმე წარმოების ხელმძღვანელს რომ დაიბარებს, მათ უკვე იციან, პირველ მდივანს დათვალიერებული აქვს მათი წარმოება თუ ბაღ-ვენახები და რაიმე გაზვიადებაც გამორიცხულია.

პირდაპირ საარაკოა ბიჭიკო შინჯიაშვილის მეხსიერება — ისეთი ციფრების ჯაჭვს, მონაცემებს გეტყვის ზეპირად, ზეპირად და შეუცდომლად, იფიქრებ, ალბათ, მთელი ღამე იზეპირებდაო, მაგრამ საოცარი ის არის, რომ ეს ციფრები და მონაცემები ყოველდღიურად იცვლება.

მე დავესწარი ერთ შეკრებას, სადაც წველადობის საკითხიც იდგა დღის წესრიგში. რაიონის ყველა ფერმის გამგეს ჰკითხა, გუშინდელი წველადობის რაოდენობა. ყველამ რიგრიგობით უპასუხა და მერე ამავე რიგით თქვა — თქვენ ამდენ ლიტრაში შეცდით, თქვენ ამდენში, თქვენც ამდენშიო — ვინ მოაკლო და ვინ მოუმატა.

რაიონის ეს ზღვად გადაშლილი ზვრები ფეხით აქვს შემოვლილი. იცის, არა მარტო ყოველი სოფლის მიკროუბანი, „ტახტსაც“ დაგისახელებთ (ტახტს ქიზიყელები კორომ-კორომ დანაწევრებულ ზვრებს ეძახიან).

ერთხელ, სიტყვამ მოიტანა და, ეს ამბავი მწერალთა ვიწრო წრეში ვთქვი. მეცნიერმა-ფოლკლორისტმა ალექსი ჭინჭარაულმა მითხრა, ბიჭიკო შინჯიაშვილს კარგად ვიცნობ და, შენ ისიც უნდა იკითხო, პოეზიის როგორი მცოდნე-მოყვარულიაო. ესეც აღმოჩენა იყო ჩემთვის, რის ჭეშმარიტებაშიც მალე დავრწმუნდი.

ჭერემში ხშირად ავდივარ ხოლმე — ისტორიული მოთხრობის დასაწერად ვემზადები და, ჯერ კვეტერის ციხე ამეკვიატა, ახლა ჭერემი. ამას წინათაც ავედი ჭერემში და გავვოცდი — სახლების მშენებლობას, ათიოდე დღის წინ რომ ვნახე, აგურიც აღარ მომატებოდა. მიზეზი გავიკითხ-გამოვიკითხე. შეაჩერესო. მიზეზი კი ვერ დამისახელეს თუ არ დამისახელეს. გაჯავრებული გამოვბრუნდი უკან. მე ის კაცი არა ვარ „რა ჩემი საქმეა“ რომ აკერია ენაზე. სწორედ რომ ჩემი საქმეა, ჩემი გადაუდებელი საქმე! ყველა პატიოსან კაცს აქვს პრეტენზია სამშობლოს სიყვარულისა, მოვლა-პატრონობისა, ისტორიულ ბედუკუღმართობაზე დარდისა; ვიმეორებ — ყველა პატიოსან კაცს, მხოლოდ და მხოლოდ პატიოსან კაცს!.. ჩამოველ გურჯაანში, იქაც გავიკითხგამოვიკითხე ჭერემის მშენებლობის შეჩერების მიზეზი და გაბრაზების ნაცვლად გავიხარე — ორიოდე თვით შევაჩერეთ, ვინაიდან წითელწყაროს რაიონში მევენახეობის ახალი მეურნეობა შეიქმნა და იქ ვაშენებთ საცხოვრებელ სახლებსო. სოფელიც დამისახელეს სამთაწყარო.

ბუნებრივია, მაშინვე იქით გა-

კარლო კობერიძე

### სამთაწყარო

ნარკვევი

მიწია გულმა. მაგრამ აუარებელი საქმე იყო მოწოლილი და ასე უცებ სად გამოჩნდებოდა საამისო დრო!

ბიჭიკო შინჯიაშვილმა მაგიდის კალენდარი [გადაფურცლა] და, როგორც იქნა, ამოარჩია სამთაწყაროში ჩვენი წასვლის დღე და საათი. თავის სიტყვას არასოდეს არ გადაუხვევს ხოლმე, ეს კი იმას ნიშნავდა, ვითომ უკვე სამთაწყაროში ვიყავით. ამასობაში საკმაო დრო გავიდა და ამ სოფლის შენება-გაფართოებამ უკვე გაჟონა რესპუბლიკურ პრესაში, რაზეც, მართალი გითხრათ, გული არ დამწყვეტია.

ძლივს მოზოზინდა სამთაწყაროს ნახვის დღეც. უთენია გავუდექით გზას. ბიჭიკო შინჯიაშვილი, საქმე მოითხოვდა და ორ საათზე ისევ გურჯაანში უნდა ყოფილიყო.

წითელწყაროში დილის ცხრა საათზე ჩავედით. წითელწყაროს რაიაღმასკომის თავმჯდომარე ივანე ფიროსმანაშვილიც წამოვიდა — ორი დღეა, ვერ მოვიცალე და სამთაწყაროში აღარ ჩავსულვარო.

მანქანას ბიჭიკო შინჯიაშვილი მართავდა; დაცემულ გზაზე რომ გავედით, მუხრან მაჭავარიანის ცნობილი სტრიქონები თქვა: „მე ვამბობდი გზადაგზა სულხან-საბას არაკსა. გაფრენილი მწყერივით მიდიოდა შარაგზა“. ამას მოჰყვა მურმან ლებანიძის, ანა კალანდაძის, შოთა ნიშნიანიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მორის ფოცხიშვილის, ტარიელ ჭანტურიას ლექსები... ფიროსმანაშვილს წინა დღეს ეყიდა მურმან ლებანიძის ლექსების ახალი კრებული და იქიდან უკვე სტრიქონებს ამბობდა, კი არ ცდილობ, ისე, უბრალოდ რჩება მეხსიერებაშიო. ამდენი კარგი ლექსი დიდხანია აღარ მომისმენიაო. მერე წლის მოსავალზე ჩამოვარდა საუბარი: თუ ნამი გველირსაო, თუ ღრუბელს კალთა ჩამოეხაო... წმინდა ელიასაც გადავწვდით.

ასეთი სიამოვნებით ხშირად არ ვიმგზავრია...

სამთაწყაროში ინგილოები ცხოვრობენ — ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩამოსახლებულან; სულ სამოცდაათი კომლია.

გარჯა უყვართ და ეს სიკეთე სოფელსაც ეტყობა, იქაურობა ხეხილში, ვენახშია ჩაფლული, იქვე ალაზანი ჩაუდის, ალაზანგაღმა კი საინგილოა.

სამთაწყაროში მევენახეობის მეურნეობა კი შეიქმნა, მაგრამ მუშახელი არ გვეყოფაო. მაშინვე გახმაურდა ეს ამბავი და მსურველი ბევრი გამოჩნდა — თქვენს სოფელში გადმოვსახლდებითო. განსაკუთრებით აჭარლებმა გამოიდეს თავი. შუახევის რაიონის სოფელ ნაღვარევის მშრომელებმა. ჩამოიდნენ სამთაწყაროში, მიიხედ-მოიხედეს, მოიწონეს აქაურობა, პირობები და მხოლოდ ამის შემდეგ შეხვდნენ წითელწყაროს რაიონის ხელმძღვანელებს.

და დაიწყო ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობა. მალე დამთავრდება 37 ბინა. ყველა ბინა ორსართულიანია, აქედან — ხუთი ოთახია საძინებელ-მისაღები, დანარჩენი მარან-სათავსოებია. ამ სახლებს აშენებენ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები, კერძოდ: წითელწყარო, გურჯაანი, ახმეტა, თელავი, ყვარელი, გორი, მცხეთა, სიღნაღი და ლაგოდეხი. აღსანიშნავია ისიც, რომ ის აჭარლები, ვინც სამთაწყაროში ჩამოდიან, აქ არიან უკვე. ყველამ იცის თავისი ბინა რომელია და თვითონაც მუშაობს მშენებლობაზე. მათი სიხარულის გადმოცემა ნამდვილად ძნელია. უხარიათ მშენებლებსაც.

ბიჭიკო შინჯიაშვილმა დაათვალიერა იმ ექვსი ბინის მშენებლობა, გურჯაანმა რომ ითავა, ესაუბრა აჭარლებს, მუშებს, სამშენებლო მასალა ნახა, იცოტავა — მალე მოგაშველებთ და მალეც ავაშენებთო. ეს მალე კი სექტემბერს არ გადასცდება.

ყველა რაიონს თავისი წარმომადგენელი ჰყავს მშენებლობაზე; თავისი წარმომადგენელი და თავისი მუშები, ეს კი სასიკეთო გავლენას ახდენს მშენებლობის ტემპსა და ხარისხზე.

მუშები მომარაგებას მაინცა და მაინც არ უჩივიან. რაკი კვირეებით არიან იქ, სამუშაო დღის ხანგრძლივობაც არ განისაზღვრება დაკანონებული შვიდი საათით. როცა საქმე მოითხოვს, რა მოხდა ამგვარ „დარღვევებს“ თუ ექნება ადგილი. თანაც კაცს მუშაობა ეხალისება. და რა უფლება მაქვს, დავუშალო.

ძნელია, კაცი რომ მოსწყდება თავის ბავშვობის სახლ-კარს, გარემოს, ნამდვილად ძნელია. ამიტომაც ვკითხე ექვსი შვილის მამას ახმედ ხილაძეს, სამთაწყაროში ჩამოსვლა რამ გაიძულამეთქი.

— ზამთარმა. ისეთი ზამთარი იცის ჩვენში, ისეთი თოვლი დახვავდება ხოლმე, ნუ იტყვი! არავის მოუსჯია, მაგრამ წელიწადში თითქმის ექვსი თვე პატიმარი ვარ, ზამთრისა და თოვლის პატიმარი. კაცს მუშაობა რომ გეხალისება, პირდაპირ სატანჯველია მთელი ექვსი თვე ძილი, თვლემა, ლაპარაკი...

ხუთას ჰექტარზე უკვე ჩაყარეს ვაზი, გაივლის წლები და მეურნეობას 1.500 ჰექტარი ზვარი ექნება, თანაც მარტო საფერავი. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

ძნელი მოსავლელიაო და ლამის გადავაშენოთ ჩვენი საფერავი. მართალია სათუთია, სალოლიაოა, სამაგიეროდ, უკეთესი ღვინო არ იქნება... ძნელი მოსავლელიაო და, სამწუხაროდ ბევრი ძვირფასი ჯიში ვანაცვალეთ ჯანის დაზოგვას. საბედნიეროდ, ახლა იქითაც ვიხედებით, იმ ძნელად მოსავლელი ვაზებისაკენ.

სულ მალე სამთაწყაროში კერას გააღვივებენ აჭარლები: ცეცხლაძეები, ხილაძეები, დიმიტრაძეები, ტაკიძეები, დავითაძეები, მურვანიძეები, ბერსილაძეები...

კეთილი იყოს მათი ჩამოსვლა! ალალი იყოს, მათი ჯანი ჩვენი საფერავის მოვლაზე რომ დაიხარჯება... აქ მათი მიწაა, მათი ვაზია!

წამოსვლისას კიდევ ერთხელ გავიხედე უკან, თვალი მოვავლე ხარაჩოებში ჩაჯდარ სამთაწყაროს და ალაზნის გაღმაც გამექცა მზერა. მაშინ იყო, გიორგი ლეონიძის „ქესანე“ გამახსენდა:

ქესანე,
შენი კვნესამე,
სევდა შეგატყე კილოში, —
პატარა, მორცხვო ყვავილო,
გაზრდილო საინგილოში.
რომ ერთად არ ვართ, ქესანე,
მისთვისაც შემომკვნესარებ...

სამთაწყაროელმა ინგილო ბავშვებმა ხელი დაგვიქნიეს.

## მწერლის სამუშაო ზაფხული

# ნოდარ დუმბაძე: დარგო ხეები სხვებისათვის

ნოდარ დუმბაძე გულღია და პოპულარული ადამიანია. სადაც არ უნდა ესტუმროთ, — სახლში იქნება თუ მწერალთა კავშირში, მისი სამუშაო კაბინეტის კარები ყველგან ღიაა. ჰოდა, მთხოვნელია მასთან სასწრაფო საქმეზე მისული თუ მეგობარი, უბრალოდ სასაუბროდ, მოდი და გაარკვიე.

მაგრამ 14 ივლისს მაინც მივაგენი „კონსპირაციული შეხვედრის ადგილას“. — ნუ ეწყინება ბატონ ნოდარს, ახლა უკვე შეიძლება მისი საიდუმლოს გამჟღავნება. დილაადრიანად, ვიდრე თბილისური ზაფხულის პაპანაქებას ჯერ სული არ შეუხუთავს ქალაქისათვის, იგი მხატვარ ნ. მალაზონიასთან, პოეტ და სცენარისტ ა. სალუქვაძესთან და კიდევ რამდენიმე მეგობართან ერთად მიდის გამარჯვების პარკის დაბურულ ხეივანში ერთი-ორი საათით სუფთა ჰაერზე: რეაბილიტაცია ინფარქტის შემდეგ.

— თითქოს არც ისე დიდი ხნის წინათ, სტუდენტობის დროს, თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს ნ. კეცხოველს მოვყავდით ხოლმე აქ ლექციების შემდეგ, მოშიშვლებული მთის ფერდობებსა და ფეხბურთის მოყვარულების სანავარდოდ ქცეულ გადამხმარ მინდორზე ხეების დასარგავად, — იგონებს დუმბაძე. — ახლა კი ნარგავები ხედავ, როგორ გაიზარდა. თურმე ჩვენთვის ვრგავდით, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის.

შეიძლება მწერლის კიდევ ერთი პირადი „საიდუმლო“ გავამჟღავნოთ — 14 ივლისი მისი დაბადების დღეა, დღე, როდესაც სურვილი გაქვს გადახედო შენს განვლილ გზას, — თუნდაც ესაა გადაბიჯებულ ორმოცდაათს. გაკეთებული ბევრია, აქტივშია წიგნები, მკითხველთა აღიარება, დიდი, საპატიო ჯილდოები.

— როგორ შეხვდი ამ დღეს? რა საკითხავია?! ტელევიზიით გადმოსცეს: პარიზში ამ დღეს სამხედრო პარადი ჩაატარესო. იცოდნენ ფრანგებმა როდის დაენგრიათ ბასტილია. უფრო სერიოზულად კი, რა უნდა გითხრათ ჩემს სამუშაო ზაფხულზე, როცა ჯერ კიდევ საავადმყოფო ფურცელზე ვიმყოფები. მოსკოვში მიმდინარეობდა სსრკ უმაღლესი საბჭოს სესია, მიმიწვიეს ლენინური პრემიის მისაღებად, ექიმები კი არა და არ მაძლევენ თბილისიდან გასვლის ნებას.

რასაკვირველია, ნოდარ დუმბაძე ის ადამიანი არ არის, რომელსაც თუნდაც დროებით შეეძლოს უარი თქვას ლიტერატურულ, საზოგადოებრივ, სამსახურებრივ საქმეებზე. მაგრამ მთავარი ის ნაწარმოებებია, რომლებიც ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა: მოთხრობები: „ბოშები“, „კუკარაჩა“, წერილი — „იყო კაცი“. საკმაოდ კარგი მოსავალია!

— მაკვირვებს, როცა იტყვიან ხოლმე, მწერლისთვის მთავარი შეთხზვაა, ფანტაზიააო. იქნებ მეც მთხზველად მთვლიან, მაგრამ ყველაფერი რაც დავწერე, საკუთარი თვალით ნახული და განცდილია, განვლილი წლების შთაბეჭდილებებია. საერთოდ, წერილებს ხშირად არ ვწერ, მაგრამ ამჯერად დავწერე, არ შემეძლო არ დამეწერა. გორში აღმართეს სამამულო ომში დაღუპულთა შესანიშნავი ძეგლი: ლომზე ამხედრებული მეჭაბუკი ხმლით ხელში. ძეგლი წარდგენილია სსრკ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად. ძლიერი სიმბოლიკა მესახება მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელისა და არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას ამ ქმნილებაში. მაგრამ მარტო ამან არ ამაღებინა ხელში კალამი. ძეგლთან გავლისას, იქვე მოხუცი კოლმეურნე დავინახე, იღლიაში ამოჩრილი წითელი ღვინით სავსე ტიკით. იგი გამვლელ-გამომვლელს აჩერებდა და სთხოვდა შესვათ მისი დაღუპული მეგობრის, ლადოს შესანდობარი. ესე იგი, უცნობი გმირები არ არსებობენ. ყველა დაღუპულს დარჩა მეგობრები და ახლობლები, დარჩათ სახელები.

ნოდარ დუმბაძის შარშანდელი მხატვრული პროზა გარეგნულად ახალი მოდის—„რეტროს“ სტილში დაწერილად შეიძლება მოგვეჩვენოს: ბავშვობის მოგონებებად, თბილისელ მეგობრებსა და თანასოფლელებზე, ვისთან ერთადაც იზრდებოდა, სწავლობდა, ცელქობდა.

— ჩემი თაობის ბიჭებს, რასაკვირველია, ახსოვთ, როგორ ვეუფლებოდით ფოქსტროტისა და ტანგოს ილეთებს პატეფონის ხრინწიან ხმებზე — „კუკარაჩასა“ და „შამპანურის შხეფის“ ჰანგებზე. მაგრამ ჩემს გმირს ამასთან არაფერი საერთო არა აქვს. ეს ყმაწვილი ფინეთის ომის შემდეგ, სადაც მხოლოდ სროლა ისწავლა, მივიდა მილიციაში და უბნის რწმუნებულად დაიწყო მუშაობა. მოთხრობაში არის ასეთი სცენა, ბიჭები, ვისაც ის შეფობას უწევს, მდინარეზე მიდიან საბანაოდ. ერთ-ერთი მათგანი სწრაფმა მდინარებამ გაიტაცა. და აი, ჩემი გმირი დაუფიქრებლად გადაეშვება მის გადასარჩენად... ავიწყდება, რომ თვითონ ცურვა არ იცის. ამას ვსწავლობდით ჩვენ უბრალო, სახაცილო და მოუქნელი ადამიანისაგან, კუკარაჩას რომ ეძახდნენ მეტსახელად — დაეხმარო სხვას, არ ფიქრობდე საკუთარ თავზე, გიყვარდეს. და გჯეროდეს. მას ჰქონდა თანდაყოლილი კეთილშობილება, და თუმცა სწორედ ამ თავისი კეთილშობილების გამო დაიღუპა ნაძირალასა და დამნაშავის ხელით, მაინც მიმაჩნია, რომ იგი გამარჯვებული დარჩა. მან დახმარების ხელი გაუწოდა ადამიანებს და ბევრი დააყენა ცხოვრების სწორ გზაზე.

...მზე ჭადრის წვერზე მოექცა. მკვეთრმა სხივებმა გაკვეთა დაბურული ჭადრის ვარჯი და წრედ გამოშუქდა იმ მერხის წინ, მე და ნოდარ დუმბაძე რომ ვისხედით. თითქოს ამას ელოდაო, უმალ აშრიალდნენ ის ხეები, რომლებიც მან თავის მეგობრებთან ერთად დარგო — თავისთვის, თავისი შვილებისა და შვილიშვილებისათვის, მეგობრებისა და ახლობლებისათვის, ყველასათვის, ვინც მოდის აქ — გამარჯვების პარკში.

ედუარდ ელიგულაშვილი,
„ლგ“ საკ. კორ.
თბილისი.

თამაზ ჭილაძის პიესა „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ იოლად აღსაქმელი ნაწარმოები არ გახლავთ. მისი დრამატურგიული სტრუქტურა რთულია, მრავალპლანიანი. ფსიქოლოგიური დრამის ფაბულა, მეშჩანური ავსიტყვაობის ბადეში გახვეული ქალიშვილის ტრაგედია, მოქცეულია მეტაფორული პირობითობის გარსში. პიესაში სულიერი ცხოვრების რამდენიმე პლანია და ყოფაცხოვრების სიმართლე პოეტიზირებულია სცენიური სიმბოლოებით.

გარდა ამისა, პიესაში თეატრალური სამყაროა და მისი კულისების დაძაბული ცხოვრების ნერვი ფეთქავს. ყოველივე ეს უჩვეულო, რამდენადმე ახალი თვალით დანახულ ცხოვრებად ჩნდება სცენაზე. აქ იქნება ყოფითი მომენტებიც, მაგრამ არ იქნება ყოფა. უჩვეულო ინტერიერი მხოლოდ მინიშნებით გადაიქცევა სარეპეტიციო დარბაზად, ქუჩად თუ საცხოვრებელ ბინად. არ ექნება მკაცრი სიმწყობრე და მთლიანობა დრამის ამბავს. ყველაფერი გაფანტულად, თითქოს განზრახ თავმოუყრელად იარსებებს პროჟექტორებით განათებულ სამსახიობო ფოიეში თუ კულისებით შემოზღუდულ ინტერიერში. ავტორიც და რეჟისორიც თითქოს იმპროვიზაციულად შექმნიან ცხოვრების უჩვეულო სურათებს და თვითონაც წინასწარ არ იციან ფინალი. ლოგიკას ისინი ალოგიკურობას ამჯობინებენ და ცალკეული ეპიზოდებიდან გაჩენილ შთაბეჭდილებებს ელოლიავებიან. მათ სჯერათ: მეტაფორა თუ სიმბოლო საგანზე ბევრად მეტია. აზრი აღემატება იმას, რისგანაც შეიქმნა. მათ ეს გრძელი და მტანჯველი გზა ამჯობინეს „დროისა და ადგილის ერთიანობის“ პრინციპს.

რობერტ სტურუას ეს პრინციპიც თავისებურად ესმის: რაც ადამიანის წარმოსახვაში ეტევა, სცენაც დაიტევს. იგი უჩინარ კედლებს დგამს სცენაზე და მერე თითქოს მხოლოდ პირობით ნიშნებად ტოვებს მათ. არ იცავს თანამიმდევრობის, სიუჟეტური მოძრაობის კანონს. დროში და სივრცეში უშვებს პარადოქსულ გადასვლებს. არასოდეს მარტივად არ წყვეტს სცენიურ ამოცანებს. ამ წარმოდგენაში საბეჭდ მანქანაზეც ბეჭდავენ და კედლიდან გადმოსული მანდილოსნის პორტრეტიც ცეკვავს. ერთმანეთს ესხოვება ოფელიასა და ანოს ცხოვრება, რეალურ ხილვებს მოჩვენება ენაცვლება.

ამგვარი ესთეტიკა და სცენიური ცხოვრების მრავალშრიანი სიღრმეები შეჩვევას მოითხოვს. ადამიანებს თეატრი ძნელად მოსანელებელ საზრდოს აწვდის, დაშაქრულ გაზიან სასმელებს როდი პირდება: „კეთილი ინებეთ და იაზროვნეთ ჩვენთან ერთად“! სცენაზე რთული ცხოვრებაა და მოულოდნელი გადასვლები დაძაბულ ყურადღებას მოითხოვენ. იქნებ „ცარცის წრიდან“ შეგნებულად გადმოტანილი „მელოდიური გასაღები“ გეცნოს და გეჩოთიროს, მაგრამ გრძნობ როგორი მოთმინებითაა შექმნილი რთული სცენიური ორგანიზმი. თეატრი გაიძულებს მასთან ერთად იაზროვნო. იგი მოითხოვს არა მხოლოდ ცხოვრების ფაქტების ცოდნას, არამედ, რთულ ესთეტიკურ ინტეგრალებს

ვინც ყოველთვის გასაგებია, უბრალოდ სულელია, ამბობს მაიაკოვსკი. სიმონ ჩიქოვანს ეს პრინციპი თავის ერთ ლექსში ასე აქვს ჩამოყალიბებული: შემოქმედებას სირთულე უყვარს, ოღონდ გასაგები ენით ნათქვამიო. ხედავთ? „რთულად ნათქვამი და გასაგები“ რაც არ არი, ის არც არი თურმე ხელოვნება.

ანოს ცხოვრების ამბავი ათასი ერთმანეთის გამომრიცხავი დეტალით ძნელად, მაგრამ დაჟინებით ყალიბდება მთლიან დრამად. ფინალში კიდევ ერთი მოკლული ოფელია, თუ თოლიასავით განგმირული ნინა ზარეჩნაია იქნება. როგორც მათემატიკურ ფორმულაში თუ განტოლებაში ერთი უმნიშვნელო შეცდომა მთლიანად ცვლის რიცხვებისა და ნიშნების ლოგიკას, ისე რობერტ სტურუას სპექტაკლში ყოველი დეტალი მთლიან რეჟისორულ სისტემაში არსებობს და ჰარმონიისკენ მიისწრაფვის. ფინალში კი ფრთაფარფატა თეთრი ფრინველი მიწაზე ეშვება და სიჩუმეში ისმის ყიჟინა: ადამიანებო, გაუფრთხილდით ადამიანის მშვენიერ სიცოცხლეს! ეს აზრი თითქოს კლდეებიდან მონაწკარე წყაროსავით წვეთწვეთად მოდის...

მაგრამ ბოლომდე გულწრფელი თუ ვიქნები, გამოკვეთილი აზრის გაჩენა ძნელდება სპექტაკლში. ფსიქოლოგიური დრამის შინაარსი და პირობითობის ცივი სტიქია ძნელად ეგუება ერთმანეთს. ეს „მასალათა შეუთავსებლობა“, პიესიდან წამოსული, ემჩნევა სპექტაკლს. გავარვარებული ლითონი და ყინულის ზოდი თითქოს ერთად დევს. და მაინც რაგინდ კატეგორიულად მოვითხოვოთ აზრის სიცხადე და ემოციის გარდუვალობა, ამ უჩვეულო წარმოდგენას პრინციპული მნიშვნელობა აქვს: იგი უარყოფს ყოველგვარ სტანდარტულ სიმარტივეს და გრძნობათა კომპლექსური ანალიზისკენ მოგვიხმობს თეატრში.

რუსთაველის თეატრი თავგამოდებით მუშაობს, არღვევს დადგენილ ვადებს, მაგრამ არ მიდის კომპრომისზე. მისი სპექტაკლები მძაფრ პოლემიკურ ატმოსფეროში იბადებიან. მათ არ იციან გემოვნების ღალატი და პროფესიონალიზმის დაქვეითება.

სეზონის ბოლოსთვის თეატრმა ზედიზედ გამოუშვა „ტარტიუფი“, „ჰაროლდი და მოდი“, რამდენადმე დაასრულა მუშაობა სპექტაკლზე „დავით აღმაშენებლის ქვა“. ეს სამუშაო ყოველგვარი ვადების გადაცილებით მოამთავრა. ისევ და ისევ გასტროლებმა მას არ მისცა საშუალება რიტმულად ემუშავა.

სპექტაკლები ერთნაირად საინტერესო რომ გამოსულიყო, იქნებ საყვედურიც არ გვეთქვა თეატრისთვის, რადგან გამარჯვებულებს არ სჯიან. მაგრამ გამარჯვებების შუქში გახვეულ თეატრსაც აქვს თავისი სირთულეები. თანაბარი დატვირთვით არ მუშაობს რეჟისურა. თანაც, სეზონის ბოლოს აჩქარებულ ტემპს თავისი ნაკლიც თან ახლავს. გულმოდგინე, დაფიქრებული მუშაობის კვალი ეტყობა ნანა ხატისკაცის დადგმულ „ტარტიუფს“. არც იმაზე ვიკამათებთ ამჯერად რამდენად ზუსტია თეატრისთვის მოლიერის ამ პიესის არჩევა. არც ყოველი კლასიკური ქმნილების მოდერნიზირებაა ყოველთვის გამართლებული. „ტარტიუფი“ მუდამ „ტარტიუფია“, რაღაც ზედროული მუდამ არის მოლიერის კომედიებში. დღეს ისეთი გულუბრყვილოც არავინ გახლავთ, თეატრში წასვლა ისტორიაში საექსკურსიო მოგზაურობა ეგონოს. ნანა ხატისკაცმა კარგად იცის, როგორ იცვლის ნიღაბსა და ტანსაცმელს ტარტიუფი და ეპოქიდან ეპოქაში მოგზაურობს. ცხვრის ტყავში გახვეული მგელი, ანაფორით მოსილი უწმინდური წმინდანის უცოდველი სახით ყველა დროში საშიშია.

ნანა ხატისკაცის სპექტაკლი განზრახ ტრადიციულია, დროის, ეპოქის მკაფიო ნიშნებით ჩვენ წარსულს ვუახლოვდებით. ასეა გამიზნული მხატვრობაც, მსახიობთა ჩაცმულობაც და მანერებიც. თითქოს ძველებური კლავესინები გამოსცემენ წარსულის ხმებს და ფერებშეცვლილი გობელენებიდან ჩამოდიან სცენაზე მოლიერის პერსონაჟები. რეჟისორი გვიჩვენებს ორ პლანს, მოლიერის ინტერმედიებს ის შეგნებულად ზრდის, ხშირად გვაფრთხილებს, მეფე დარბაზშიაო, რადგან მოლიერთან ერთად უნდა გადმოგვცდოს ხელოვანის მღელვარება, ხელოვანისა, რომელმაც იცოდა, როგორ სჭრიდნენ თავს მეტისმეტად ჭკვიანებს მისსავე ენის გამო.

ეს სცენები გემოვნებით არის დადგმული, დახვეწილი და რაფინირებული.

მაგრამ ტარტიუფი? ტარტიუფს მეტისმეტად აგვიანდება, დიდხანს რჩება კულისებში. სცენაზე კი განუწყვეტლივ ლაპარაკობენ ამ „საშიშ კაცზე“. მას ხომ მეფე და კარდინალი მფარველობს. აკი თვითონვე შენიშნავს მოლიერი, ეს პირველი მოქმედება მეტისმეტად გაგვიგრძელდაო. ვერ იქნა და ვერ მოხერხ-

[illegible]

# თეატრალური სეზონის კონტურები

**გიორგი ხუხაშვილი**

**წერილი მეორე**

ლექტიკური ხდება. იქნებ არჩეული ტრადიციული გზის ერთგულება ბოლომდე მართებდა რეჟისორს?

არ მინდა დავსვა შაბლონური კითხვა, როგორი გამოვიდა რუსთაველის თეატრის განვლილი სეზონი. და თუ ეს კითხვა ჯიუტად მოითხოვს პასუხს, იგი ასე მესახება: თეატრი დაუცხრომლად ეძებს, მაგრამ ძიება ყოველთვის არ იძლევა პოვნის გარანტიას. მას შეგნებული აქვს უძველესი სიბრძნე: „ეძიებდე და პოვებდე“. და კარგად ესმის ისიც, რომ სახელის ზიდვა არანაკლებ საძნელოა, ვიდრე მისი მოპოვება. არც რუსთაველის თეატრს აქვს შეჩერებისა და განცხრომის უფლება, რადგან მან კვლავაც უნდა იპოვოს თავისი პასუხი ჩვენი დროის მრავალ პრობლემაზე. და მხოლოდ იმ თეატრს უღიმის უკეთესი მომავალი, არა მარტო გამარჯვებები, მარცხიც და ჩავარდნებიც გამოცდილების სიბრძნედ რომ მოუმარჯვებია.

მარჯანიშვილის თეატრს შარშანდელ რეპერტუარში შეტანილი ჰქონდა ჰაუპტმანის „მზის ჩასვლის წინ“, სარდუს „მადამ სანჟენი“, დიურენმატის „რომულუს დიდი“, ლალი როსებას „პრემიერა“, ლევან მალაზონიას „რეფორმატორი“. ამასთანავე თეატრს განზრახული ჰქონდა აღედგინა უწინდელი სპექტაკლები — „ფსკერზე“ და „მე ვხედავ მზეს“.

ამ რეპერტუარით თეატრი არჩეული გზის ერთგული რჩებოდა და მისი რეჟისურა მსახიობის მაღალ ხელოვნებაზე დანდობით ეძებდა ახალ თეატრალურ ფორმებს. თავისთავად მიბრუნება ოცდაათიან წლებში ბრწყინვალედ დადგმულ „მადამ სანჟენთან“, „ფსკერისა“ და „მე ვხედავ მზეს“ აღდგენა პრინციპების უცვლელობასაც მოასწავებდა. თეატრი ახალ სეზონში თავიდან კი არ იწყებდა ცხოვრებას, აგრძელებდა მრავალგზის შემოწმებულ გზას.

ძიებებისა და ექსპერიმენტების დროს ეს შეგნებული სტაბილურობა თუ ტრადიციულობა ბევრ თეატრმცოდნეს კონსერვატიზმად მიაჩნია. თეატრი კი, როგორც ვთქვით, თავის ნაცად გზას მიჰყვება. ის შეგნებულად ირჩევს დრამატურგიას, რომელმაც აქტიორის მომხიბლავი შემოქმედებით უნდა გამოავლინოს ცოცხალი, მნიშვნელოვანი ადამიანური ურთიერთობანი. ის ითვალისწინებს კიდეც აქტიორულ შესაძლებლობებს რეპერტუარის შერჩევის დროს. ამ თეატრში ზუსტად იციან აქტიორთა პოტენცია და უყვართ აქტიორი. გიგა ლორთქიფანიძეს ღრმად სჯერა, რომ ყოველგვარი ძიება, ადრე თუ გვიან, ისევ და ისევ აქტიორულ ხელოვნებას მოუბრუნდება, რადგან სხვაგვარად თეა-

[illegible]

გორც რეალურ ცხოვრებას, ყველაფერს უმორჩილებს ადამიანური განცდების უაღრესი ბუნებრივობის მოთხოვნას. და როდესაც ეს არ გამოუდის, მის სცენაზე მარცხის სასტიკი სიცივე ისადგურებს. და, პირიქით, როცა თავის სტიქიაში სრულყოფას აღწევს, მისი გაბრწყინებული თეატრალობა დღესასწაულად იქცევა.

არ მინდა კატეგორიულად ვთქვა, თეატრს ჰაუპტმანის „მზის ჩასვლის წინ“ არ გამოუვიდა-მეთქი. მინდა მხოლოდ ავხსნა მიზეზები, რომლის გამოც მრავალნაცადმა დრამამ მძლავრად ვერ გაიხმაურა.

ჯერ არჩევანზე ვთქვათ, ძლიერი პიროვნების სულიერი კატასტროფა, მატიას კლაუზენის ცხოვრება ჰაუპტმანმა ბურჟუაზიული ყოფის მეფე ლირის დრამად გაიაზრა და ზნეობრივ კონფლიქტს მამასა და შვილებს შორის ზედროული თვისებები მიანიჭა.

თუ ამ ზედროულობას არ ჩაწვდები და ჩვენს დროსთან არ დააკავშირებ, მეტად შორეული ცხოვრება თითქოს დურბინდის მეორე მხარიდან გამოჩნდება. სენტიმენტალურისა და ინტელექტუალურის ზღვარზე ამ ფსიქოლოგიურ დრამას მაქსიმალურ სიმართლესთან ერთად ყოფაცხოვრების დახვეწილი თეატრალური წარმოსახვა სჭირდება. ის ვერ აიტანს ვერც ჭარბ სიცივეს თუ თავშეკავებას, ვერც გაშიშვლებულ ემოციურობას. ჩემის აზრით, ეს აუცილებელი პროპორციები დაირღვა სცენაზე. ნიჭიერი მხატვრის შემოთავაზებულმა გარემომ ვერ დაიტია ნამდვილი ცხოვრება. მატიას კლაუზენისა და მისი შვილების ამბავი თითქოს უზარმაზარ აქვარიუმში დავინახეთ, საიდანაც ყრუდ აღწევდა სინამდვილის ხმები. დრამამ დაკარგა დაძაბულობის ტონუსი და სენტიმენტალური მელოდრამისკენ დაექანა. თავისთავად საინტერესო კოტე მახარაძის მატიას კლაუზენი მძაფრი სულიერი კონფლიქტის ნაცვლად ილუსტრატიულად გახსნილ გარემოში მოექცა, გერმანელი არისტოკრატის ძლიერი პიროვნების თავშეკავებაში უცებ ამოხეთქილი სულიერი ყიჟინა განელდა და უფერულ მელოდრამატიზმში გადაიზარდა. სპექტაკლს მოაკლდა ის მაქსიმალური დახვეწილობა, რასაც საუკეთესო დადგმებში შეეჩვია ჩვენი მაყურებელი. მისი ესთეტიკა მეტისმეტად მარტივი აღმოჩნდა და გააზრებული სისადავე უბრალოებაში გამოვლინდა. კლასიკა უნდა ვითამაშოთ როგორც თანამედროვეობა — ამ პრინციპის მივიწყებამ აზრობრივი სიღრმეები წაშალა და „დროთა კავშირი“ არ შედგა.

ყოველგვარი მარცხი თუ ჩავარდნა მტკივნეულად აღიქმება თეატრის ცხოვრებაში. მაგრამ თუ ამისი მიზეზები გააზრებულია და

[illegible]

როიკა ზეიმობს, მომდევნო სურათში თითქოს ვოდევილური სიმსუბუქისკენ ეშვება, მაგრამ ნაპოლეონისა და მადამ სანჟენის სცენებში კვლავ უბრუნდება სარდუს ირონიით აღსავსე კომედიურობა და სიცილთან ერთად ჩნდება აზრიც.

თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თუ რამ აკლია ამ გემოვნებით დადგმულ, ხალისიან სპექტაკლს, სწორედ აზრისეული საწყისის სიცხადე. აზრი კი ისეთი რამ გახლავთ, რაც იფარავს ნაწარმოებს სიბერისაგან. ვგულისხმობ აზრს, რაც ზედროულს ხდის ისტორიის საყურადღებო მოვლენებს.

მე არ მინახავს მარჯანიშვილის დროინდელი სპექტაკლი, ამიტომ შედარება მიჭირს. მაგრამ, არა მგონია, იმ წლებში ვირტუოზულ მსახიობთა ოსტატობას, როგორც იტყვიან ბრწყინვალე ოსტატთა თამაშის ფეიერვერკს აზრისეული საფუძველი არ ჰქონოდეს მყარი. ამის გარეშე „მადამ სანჟენი“ მსუბუქი ჟანრის ნაწარმოებს ემსგავსება და ზედაპირული ხდება.

დიურენმატის „რომულუს დიდის“ დადგმით თეატრმა მრავალი მოულოდნელობის წინაშე დააყენა თავისი თაყვანისმცემლებიც და სკეპტიკურად მაცქერალნიც. „რომულუსი“ უჩვეულოა თვითონ დიურენმატისათვის. უაღრესად თანამედროვეს ისტორია პარადოქსული წინააღმდეგობებით აინტერესებს და მისი იგავის ფილოსოფიური პირობითობა თანამედროვე ადამიანის ტკივილებით არის აღსავსე. ეს სპექტაკლი მოწმობს, როგორ აღელვებს თეატრს თანამედროვეობის უდიდესი პრობლემა.

ეს ომისა და მშვიდობის პრობლემა გახლავთ. შეძრული, ნევროზულად განწყობილი კაცობრიობა მწერალთან ერთად ირონიულად იცინის იმპერატორთა აბსურდულ სამხედრო ისტერიებზე და მწარედ დაღადებს დამანგრეველი ომების უაზრობაზე, მის აბსურდულ მიზანსა და შედეგებზე. რეჟისორი ნუგზარ გაჩავა თეატრთან ერთად ამ პიესის დადგმით იმასაც ამტკიცებს, რომ თეატრს ამოუწურავი შესაძლებლობები გააჩნია და ერთ სტილში გამუდმებით მუშაობა გარდუვალი არ არის.

ყოფითი სიმართლის თეატრი სრულიადაც არ დააზარალა ფილოსოფიურმა პირობითობამ, პირიქით, მისი მრავალმხრივი შესაძლებლობები გამოავლინა. სრულიად მოულოდნელი ტონალობითა და ნიუანსებით შევიგრძენით ოთარ მეღვინეთუხუცესის ტალანტი და მისი ირონიული ნიღაბი ტრაგიკულზე არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა. რომის დაცემასა და ნგრევაში ამოკითხულია ძალადობაზე დაფუძნებული იმპერიების

[illegible]

რამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამგვარი ლიტერატურის გამოცდილება ჩვენს თეატრში არც თუ ისე დიდია. თანაც პირობითობისა და იგავის ენაზე გადასვლა იოლი როდია. გროტესკი და უტრირება ყოველ დეტალში თანაბარი სიზუსტით არ ხდება და მთლიანობის ჰარმონიულობაც ირღვევა. მაგრამ სპექტაკლი მაინც მიზანში ხვდება. იგი თავიდან ბოლომდე სადღეისოა და ახალი პერსპექტივების შემცველი. რომულუსის ტოგა, მეოცე საუკუნის ფაშისტებს დამსგავსებული შუა საუკუნეების გერმანელი ტევტონები, ნამდვილი მამალი რომულუსის ხელში, ფინალში, და ჭიქებში ჩასხმული ღვინო იქნებ კვლავ ეკლექტიკად გამოიყურება. მაგრამ ვინ დაუძრახავს თეატრს რთული და მრავალპლანიანი დრამატურგიისკენ ლტოლვას?

კლასიკური, თანამედროვე ევროპული პიესების პარალელურად შარშანდელ სეზონშიც მკაფიოდ ჩანს თეატრის მიდრეკილებები: აჩვენოს სცენაზე ადამიანთა რეალური ცხოვრება და ურთიერთობანი. ლალი როსებას „პრემიერა“ სწორედ ამიტომაა საინტერესო. იგი ადამიანთა დრამატულ ურთიერთობებში ცხოვრების იმედიან სიყვარულს ამჟღავნებს.

იოლად არ ცხოვრობენ ამ პიესის გმირები. აბსოლუტურ სიჩუმეში ჩაის სმით დაწყებული მათი ცხოვრება თანდათანობით ღრმავდება და იძაბება. თეატრი მათთვის საბედისწერო სიყვარულია, სიყვარულს კი არაფერი შეედრება ამქვეყნად, თუნდაც ტკივილიან, მწარე სიყვარულს. ესაა ადამიანთა ერთი მოდგმა, რომელმაც კულისების მტვერი შეიგრძნო და სამუდამოდ მოჯადოებული მიჰყვა მტანჯველ, მაგრამ სიამაყით აღსავსე შთაგონებას.

თეატრისადმი რწმენასთან ერთად როსებას პიესაში და მედეა კუჭუხიძის დადგმაში ადამიანურ ურთიერთობათა მთელი სკოლაა და შინაგანი განწმენდის შემძვრელი აქტი წრფელი აღსარებებით ხორციელდება. „ცხოვრების ნაკადის“ პრინციპზე აგებული დრამატურგია თანდათანობით მკვრივდება, იკვრება და ყოფითი სიმართლე პოეზიის სიმაღლეს წვდება. პატარა კატოს ბუნებაში მოულოდნელად აღმოჩენილი ტალანტი აქტიორისა და სახელდახელო თეატრალური ეტიუდის იმპროვიზირება უცებ გაარღვევს ყოფის ერთფეროვნებას და ნატურალისტური შეფერილობით მოთხრობილი ამბებიდან აზრი კრისტალდება.

ესეც ჩამოყალიბებული, დადგენილი გზა გახლავთ. თეატრი ადამიანების სულში ხედავს და მათდამი გულისხმიერებას გვასწავლის და განწმენდილ ურთიერთობათა საუკუნეში კეთილი კომუნიკაბე-

[illegible]

მტკივნეულ პრობლემებზე დაგვაფიქრებდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. „რეფორმატორი“ ჟანრობრივად დაუდგენელი, ტრივიალური აზრის მქადაგებელი სპექტაკლი გამოვიდა. მასში არის აქტიორული ოსტატობის გამონათებები ნოდარ მგალობლიშვილის, ქეთევან კიკნაძის, მერაბ თაბუკაშვილისა, მარლენ ეგუტიას და სხვათა თამაშში. მაგრამ ჩნდება თვითმიზნური ტრაგიკომედიურობისკენ მისწრაფება და ზომიერებას გადაცდენილი, რამდენადმე აუხსნელი და მხატვრულად გაიოლებული დამოკიდებულებანი.

დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რამდენად შეიძლება სერიოზული სადღეისო პრობლემა იყოს იმისი მტკიცება, რომ თანამედროვე ოჯახში ბავშვს დედა უნდა ზრდიდეს და არა მამა და ემანსიპაციის ეპოქაში უკან დაბრუნებისკენ მოწოდება იყოს აუცილებელი. სპექტაკლის ქვეტექსტმა — დაუბრუნეთ დედები ოჯახებს, უფერულად გაიხმაურა და სერიოზული გამოძახილი ვერ ჰპოვა. და ეს მოხდა არა იმის გამო, თითქოს თანამედროვეთა ოჯახურ ყოფაში რთული პრობლემები არ არსებობდეს. ჩვენს ქალაქურ ცხოვრებაში, მადლობა ღმერთს, ჯერ არ მომხდარა ისეთი უნიფიცირება, რომელიც შეარყევდა ოჯახის ინსტიტუტს და გარდუვალი საოჯახო რეფორმის წინაშე დაგვაყენებდა. პიესაში სხვა მოტივებიც არსებობს, მაგრამ ცოლ-ქმრის დამოკიდებულება წინა პლანზეა. სცენაზე გამოტანილ ამბავს მძაფრი, დრამატურგიული შინაგანი კონფლიქტი არ გააჩნია, მის მოულოდნელ დრამატიზირებულ შემობრუნებებს შემთხვევითობის იერი დაჰკრავს. ცივილიზაციას მოაქვს თავისი უკიდურესობანი და ცოლ-ქმრობის ურთიერთობანიც იცვლება შესაბამისად. მაგრამ ეროვნული თვისებები მუდამ ეწინააღმდეგება ამგვარი რღვევის რეციდივებს და მკვიდრად ინახავს ტრადიციულ კავშირს, მორალსა და სილამაზეს. შეგრძნება პრობლემის გაზვიადებისა, კიდევ უფრო გაამძაფრა დადგმამ. ნუ მიწყენს თეატრი, „რეფორმატორის“ დადგმა სხვა თვალთახედვით შეიძლებოდა. რატომღაც ყოფაცხოვრებითი სიმართლის ნაცვლად რეჟისორმა და მხატვარმა შექმნეს მეტად პირობითი, ანემიური გარემო. თანამედროვე თეატრი, თუ საკიდიდან არა, მხატვრობიდან მაინც ნამდვილად იწყება. ჩემთვის გაუგებარია შავსა და ნაცრისფერ ტონალობაში გადაწყვეტილი ოჯახური ინტერიერი, სავადმყოფოს პალატას დამსგავსებული ოთახი საგორავი მაგიდებითა და წამლებით, ნამდვილი სკამების მაგიერ ცელულოიდის ტუმბოები... ერთი სიტყვით, ყველგან შეგნებულად წაშლილი ნამდვილობა.

ამავე დროს მსახიობთა ჩაცმულობაში მეტისმეტად ნატურალიუ-

[illegible]

ვიწყებთ ხოლმე აღიარებული ფორმულის მეორე ნაწილს: თანამედროვეობა ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც კლასიკა.

ემპირიულობას ვერ გავექცევი, მაგრამ შეჯამებისთვის ნათქვამიც კმარა. აბა, ვინ იტყვის იმას, ჭეშმარიტ სიამაყეს არ ვგრძნობდეთ ჩვენი თანამედროვე თეატრის საერთაშორისო მასშტაბებისა და დიაპაზონის გამო. თუ გემოვნების აშკარა ღალატთან არა გვაქვს საქმე, ჩვენს სულიერ ცხოვრებაში მუდამ კეთილად ხმიანობს კლასიკა და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. ამიტომ შეუნელებელი ინტერესით ვეკიდებით „მწუხარე სახის რაინდის“ თუ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერის“ დადგმას მეტეხის თეატრში, ან სუხოვო-კობილინის „საქმეს“ მიხეილ თუმანიშვილის თეატრალურ სახელოსნოში. და მაინც ის უფრო ბევრად გვაღელვებს, რაც სისხლხორცეულად ჩვენია, ჩვენს დროსთან კავშირში აღმოცენებული, ყველაფერი ის, რაც დღევანდელ ადამიანს ეხმარება, სხვათა ცხოვრებაში საკუთარი დაინახოს და გაერკვეს თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემებში, გაერკვეს, რათა აზრიანად იცხოვროს და ცხოვრება მისთვის დაუშრეტელი სიხარულით, დარდით, უფრო ამაღლებული და მშვენიერი იყოს.

გულახდილად უნდა ვთქვა: ეს წონასწორობა კლასიკისა და თანამედროვეობისა გასულ სეზონში დარღვეული აღმოჩნდა. ჩვენ თითქოს შევეგუეთ ამ დარღვეულ ჰარმონიას. ცხოვრება კი არ დაგვანებებს ამგვარ შეგუებას და მუდამ მოგვთხოვს, პასუხი გავცეთ დროს, რომელშიც ვარსებობთ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ თეატრის ცხოვრებას პრობლემები განსაზღვრავენ. ამიტომ გვმართებს არჩევანის დროს მეტი სიზუსტე და გონივრული თანაფარდობა კლასიკისა და თანამედროვეობისა.

ბევრი რამ შესძინა ქართულ თეატრს ახლებურად და ახლად დადგმულმა დავით კლდიაშვილმა. თეატრმა კიდევ უფრო გამოაჩინა ქართული მწერლობის ეს ბუმბერაზი. თანამედროვე ძიებებთან ერთად ბევრი რამ ისევ ითხოვს უკან მიბრუნებას, თუნდაც ვაჟაფშაველას გენიალური პოეზიის საოცარი სამყარო. ნაადრევად ნურავინ მიიჩნევს ამოწურულად შალვა დადიანსა და პოლიკარპე კაკაბაძეს. თეატრისთვის მნიშვნელოვანი მრავალი პლასტი ხელუხლებლად დევს კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ლეო ქიაჩელის პროზაში. ამ სიმაღლეებიდან უნდა გავხედოთ ჩვენი დრამატურგიის მომავალს.

თანამედროვე ქართული თეატრი მძლავრი შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობს, ცოცხლობს და მისი რამპის სინათლე შორეულ სივრცეებს წვდება.

ბედნიერი გზა და სავალი მის უკვდავ ნათებას!...

# მცირე განმარტება

ნამდვილად კარგი საქმე გააკეთა „ლიტერატურულმა საქართველომ“, როცა ჩვენი ცნობილი მთარგმნელების ანკეტები გამოაქვეყნა საერთო სათაურით: „თარგმანი დღეს, თარგმანი ხვალ...“

ამ ანკეტებმა თვალნათლივ გამოაჩინა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მთარგმნელობითი საქმიანობა თვისობრივად ახალ, მაღალ საფეხურზე ასულა.

გვინდა რამდენიმე კონკრეტული შენიშვნა გამოვთქვათ ამ თავისებური დაუსწრებელი დისკუსიის ზოგიერთი მონაწილის იმ მოსაზრებებზე, გამომცემლობებისა და რედაქციების მუშაობას რომ ეხება.

ვერავინ დაგვაბრალებს, რომ თავს ვიცავთ როგორც გამომცემლობის და ალმანახ „საუნჯის“ წარმომადგენლები. სულ წელიწადნახევარია რაც ჩვენი მოვალეობების შესრულებას შევუდექით; ვინც გამომცემლობების სპეციფიკას იცნობს, იცის, რომ საგამომცემლო თემატურ გეგმაში წიგნი, სამწუხაროდ, სამი წლით ადრე შედის, ხოლო „საუნჯე“ კი წელიწადში მხოლოდ ექვსი ნომერი გამოდის.

ასე რომ, ყველაზე ნაკლებად ჩვენ გვეხება ზოგიერთის მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, მაგრამ თავს მაინც ვალდებულად ვთვლით, პასუხი გავცეთ ზოგიერთ, ცოტა არ იყოს, უპასუხისმგებლოდ გამოთქმულ აზრებს, რომ გაიფანტოს რამდენიმე, უკვე მოდად ქცეული, მცდარი მოსაზრება.

მოვიყვანთ ნაწყვეტს ზურაბ კიკნაძის ანკეტიდან. კერძოდ, იგი წერს: „გაუმართლებლად მეჩვენება ისეთი პრაქტიკა ჩვენს საგამომცემლო საქმიანობაში, როდესაც თანამედროვე ლიტერატურულ პროცესს (ხშირად მის მდარე გამოვლენას) ეწირება მსოფლიო ლიტერატურის კლასიკური ნიმუშები, რომლებიც ქართულად არასოდეს თარგმნილა. უდღეურ ნაწარმოებებს კონკურენციას აწევინებენ „მოძველებულად“ თუ „არააქტუალურად“ შერაცხილ შედევრთა საწინააღმდეგოდ“.

ამ მოსაზრების ავტორი რომ საქმეში ჩაუხედავი კაცი ყოფილიყო, კიდევ არაფერს ვიტყოდით, მაგრამ ზურაბ კიკნაძე, რომელსაც გარდა აღიარებისა, კეთილი სურვილებისა და ყურადღებისა არაფერი უგრძვნია ჩვენი გამომცემლობებისა და რედაქციებისაგან, რის საფუძველზე გამოთქვამს ასეთ საყვედურს? იქნებ სხვა მთარგმნელები ჰყავს მხედველობაში?

მაშინ დავუსვამთ ერთ კითხვას ამ მოსაზრების ავტორს: საქართველოში რამდენ მთარგმნელს შეუძლია იმ ნაწარმოებების თარგმნა, რომლებსაც ზურაბ კიკნაძე გულისხმობს, და ვის მიმართ გამოიჩინეს უყურადღებობა? იქნებ ჩამოეთვალა ამ მთარგმნელების გვარები და მათ მიერ თარგმნილი ნაწარმოებები, რომლებსაც ამჯობინეს ყოვლად უდღეური დღევანდელი ნაწარმოებები.

სტატუსი იმ ალმანახებისა, რომლებიც უკანასკნელ წლებში დაარსდა, ითვალისწინებს თანამედროვე მიმდინარე ლიტერატურული პროცესების ასახვას. მიუხედავად ამისა, ალმანახებს და რედაქციებს არასდროს უარი არ უთქვამთ კლასიკური ლიტერატურის ნიმუშების მაღალმხატვრული თარგმანების გამოქვეყნებაზე, თუ ნაწარმოების მოცულობა ამის საშუალებას იძლევა. დიდტანიანი ნაწარმოებები პირდაპირ გამომცემლობებში უნდა გამოდიოდეს და გამოდის კიდეც.

სამწუხაროდ, კიდევ უფრო შორს მიდის ვახუშტი კოტეტიშვილი. მასაც ვერ დავწამებთ, რომ არ არის ჩახედული გამომცემლობის საქმეებში. უფრო მეტიც, იგი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მთარგმნელობითი ლიტერატურის რედაქციის საბჭოსა და „საუნჯის“ რედკოლეგიის წევრია. იგი თავისი უპასუხისმგებლო განცხადებებით შეურაცხყოფას აყენებს გამომცემლობებისა და რედაქციების კოლექტივებს.

აი რას წერს ვ. კოტეტიშვილი: „სამწუხაროდ, კვლავაც ითარგმნება ბევრი უღიმღამო, არაფრისმთქმელი ნაწარმოები, რომელიც არც თავის ქვეყანაში წარმოადგენს რაიმე ღირებულს და არც ჩვენი ლიტერატურისათვის იქცევა შენაძენად. მაგრამ მათი ბეჭდვა რატომღაც უფრო იოლად ხერხდება, ვიდრე ჭეშმარიტი ლიტერატურის თარგმანებისა, რომელნიც წლობით ამძიმებენ რედაქციათა თაროებს“.

არ იფიქროთ, ამით მთავრდება ვ. კოტეტიშვილის „მკაცრი“ მოსაზრებანი. სხვა ადგილზე წერს: „მე ვფიქრობ, თვით გამომცემლობები და რედაქციები უნდა ეძებდნენ და იკრებდნენ კარგ მთარგმნელებს; სთხოვდნენ, ავალებდნენ, აიძულებდნენ კიდეც (კარგი გაგებით), რომ მოაწოდონ უმაღლესი ხარისხის ლიტერატურა და არა სიტყვიერი ჯართი.

მწერლობა ერის წმიდათაწმიდა სახატეა და მისი შებილწვა ანგარებით არავის ეპატიება“.

ხედავთ, რას სწამებს იგი გამომცემლობებისა და რედაქციების თანამშრომლებს? მწერლობა ერის წმიდათაწმიდა სახატეა და მისი შებილწვა ანგარებით არავის ეპატიებაო.

მერე თვითონაც მიხვდა, რომ ძალიან ღრმად შეტოპა და დასძენს: „მგონი გავცხარდი, რაც სრულიად არ შეესაბამება ანკეტის სტილს. მაგრამ რას ვიზამთ?! მარტო ურთიერთ ტაშ-ფანდურით საქმე არ გაკეთდება“.

დიახ, ნამდვილად გაცხარდით და სიცხარისაგან ჟანრიც აგერიათ. საგაზეთო ანკეტა კაფია როდია, რაც პირზე მოგადგებათ, ის გამოაქვეყნოთ. საწერ ქაღალდთან კალმისტრით ხელში მარტოდმარტო დარჩენილმა მოზღვავებული ტემპერამენტი ცოტა უნდა დაიოკოთ, საკითხები უფრო ღრმად უნდა შეისწავლოთ, აწონდაწონოთ და ისე გამოიტანოთ სამსჯავროზე.

შევეცდებით ზოგიერთ რამეში გავარკვიოთ ამ ბრალდებების ავტორი. ამისათვის სულ მცირეოდენი არითმეტიკა დაგვჭირდება. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ წელიწადში უნდა გამოვიდეს 700 თაბახამდე თარგმნილი ლიტერატურა, ამას დაამატეთ „მერანის“ 150-140 თაბახი, თარგმანის კოლეგიის 400-410 და „ნაკადულის“ 550-520 თაბახი. სულ რამდენი გამოვიდა? დაახლოებით 1800 თაბახი.

ახლა გვინდა ვკითხოთ ვ. კოტეტიშვილს, რამდენი მაღალკვალიფიციური მთარგმნელი გვყავს სულ საქართველოში? მარტო მთარგმნელებს კი არ ვგულისხმობთ, ის პოეტები და მწერლებიც ვიანგარიშოთ, მთარგმნელობით მუშაობას შემთხვევიდან შემთხვევამდე კი არა, ინტენსიურად რომ იწევიან. რამდენი გამოგვივა სულ? ავა მათი რიცხვი 30-მდე? ერთი საშუალო წიგნის მაღალმხატვრულ თარგმანს მინიმუმ ორი წელი ხომ სჭირდება? გავყოთ ეს 30 ორზე, შეგვრჩება წელიწადში 15 კვალიფიციური მთარგმნელი. გვეყოფა თხუთმეტი კაცი 1800 თაბახის სათარგმნელად? მაშინ თითოეულმა კარგმა მთარგმნელმა წელიწადში ხომ დაახლოებით 120 თაბახი უნდა თარგმნოს? (შედარებისათვის ვ. კოტეტიშვილმა გაიხსენოს, თვითონ რამდენ თაბახს თარგმნის წელიწადში?)

ჩვენ ყველაფერი გულუხვად, ვ. კოტეტიშვილის სასარგებლოდ ვიანგარიშეთ. მაინც საოცარი შედეგები მივიღეთ, 15 კაცი წელიწადში მაქსიმუმ 150 თაბახს თუ გადათარგმნის. მაშ ვინ უნდა თარგმნოს დანარჩენი 1650 თაბახი?

სწორედ ამ 1650 თაბახს თარგმნიან საშუალო, საშუალოზე დაბალი და კიდევ მათზე დაბალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები. ამ დროს კი ბევრი ლოგიკური და თითქმის კანონზომიერი გაუგებრობისაგან არავინ არ არის დაზღვეული.

დიახ, ქართულ ენაზე გამოცემულ თარგმნილ ლიტერატურაში ზუსტად ის პროპორციაა შენარჩუნებული, ნიჭიერი და უნიჭო მთარგმნელების რაოდენობებს შორის რომ არსებობს. ამიტომ ყოველგვარი ბრალდება და მისამართი უნდა იყოს კონკრეტული. არ შეიძლება კერძო შემთხვევები განვაზოგადოთ და დებულების სიმაღლემდე ავიყვანოთ. არ შეიძლება ხალხს შთავაგონოთ, რომ ეს ცუდი წიგნები რიგგარეშე გამოდის, მაშინ როცა თურმე კარგი თარგმანები წლობით აწყვია თაროებზე.

საქმეს სხვანაირად უნდა მოვლა. წელიწადში, როგორც უკვე ვთქვით, დაახლოებით 1600-1400 თაბახია საშუალო და საეჭვო მთარგმნელების ხელში. მაშ რა ვქნათ? ასე უმოწყალოდ შევამციროთ ჩვენი გეგმები და 15 მაღალნიჭიერი მთარგმნელის შესაძლებლობებს მოვარგოთ? განა გულუბრყვილობა არ იქნება ამაზე ფიქრი? იქნებ სჯობდეს იმაზე ვიფიქროთ, რომ შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში უკვე პრაქტიკულად ვიზრუნოთ მთარგმნელების გამოზრდაზე? ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ მხოლოდ წვრთნით მასობრივად გამოიზრდებიან მაჩაბლები და მისი მსგავსი მთარგმნელები. ჭეშმარიტი მთარგმნელები იბადებიან. მაგრამ ჩვენ უნდა შევქმნათ დონე. უნდა აღვზარდოთ ისეთი მთარგმნელები, რომლებიც ნორმალურ დონეზე დაბლა აღარ დაეშვებიან. თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, გამომცემლობებსა და რედაქციებს გარდა რამდენი მთარგმნელი სჭირდება რადიო-ტელევიზიას, კინოსტუდიას და ათასგვარ სხვა დაწესებულებებს. მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ჩანს. ცუდი თარგმანები ხვალაც გამოვა და ზეგაც. მაგრამ არა იმ მიზეზებით, რაზეც ზ. კიკნაძე და ვ. კოტეტიშვილი ლაპარაკობენ.

კომპასის ნიშანი სხვა მიმართულებით მიგვანიშნებს და სწორედ ამ მიმართულებით გვმართებს სერიოზული მუშაობის გაშლა. გაუანალიზებელი, ემოციური წამოძახილები საქმეს არაფერს მოგვიტანს.

გამომცემლობები თვითონ უნდა ეძებდნენ და თავის ირგვლივ იკრებდნენო კარგ მთარგმნელებს, მათ უნდა სთხოვდნენო, აიძულებდნენ კიდეცო (კარგი გაგებით), რომ მიაწოდონო უმაღლესი ხარისხის ლიტერატურა! — ამბობს ვ. კოტეტიშვილი.

სანამ ამ სიტყვებს დაწერდა, იქნებ აელო ტელეფონი, დაერეკა გამომცემლობებში და ეკითხა, როგორაა ამ მხრივ საქმე სათანადო რედაქციებში? ან თვითონ არ იყო ვალდებული სცოდნოდა იმ რედაქციის საშინაო ამბები, რომლის საბჭოს წევრიცაა?

იგი რომ დაინტერესებულიყო, მაშინ გაიგებდა, რომ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მოუწვევია საკმაოდ ცნობილი მთარგმნელები და არამცთუ უთხოვია, ხელის გამართვის მიზნით ხელშეკრულებაც კი დაუდვია ორმოცამდე მთარგმნელთან და გასამრჯელოც მიუცია, არსებული წესის თანხმად, ჰონორარის 25 პროცენტის რაოდენობით.

და იცით რა მიიღო ჯილდოდ გამომცემლობამ ამ გულისხმიერებისათვის? მაქსიმალურმა უმრავლესობამ არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. ამან გაზარდა ზენორმატიული ნაშთი და შესაბამისმა ორგანოებმა კატეგორიულად მოითხოვეს ბანკში გამომცემლობის ანგარიშის დახურვა.

დიახ, სამწუხაროდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები ორი და სამი წლით დაირღვა. ოც მთარგმნელთან ხელშეკრულება უკვე გააუქმეს, ხოლო ფინანსური დავალიანების მოსაწესრიგებლად მათი საქმე ამ დღეებში გადაეცემა სასამართლოს.

სამწუხაროდ, უნიჭო მთარგმნელები გაცილებით ოპერატიულნი არიან ჩვენს მაღალნიჭიერ მთარგმნელებთან შედარებით, სრულიად გასაგები მიზეზების გამო.

გამომცემლობებში წლობით დევსო გამოსაცემი კარგი წიგნები, ამბობს ვ. კოტეტიშვილი. წიგნის გეგმაში შეტანას სამი წელი უნდა ჩვენი გამომცემლობების სპეციფიკის გამო. თუ იგი ამ წლებს გულისხმობს, გამომცემლობები არაფერ შუაშია. ხოლო დაასახელებს იგი რომელიმე კარგი, ჭეშმარიტი მთარგმნელის წიგნს, რომელიც რედაქციის მიზეზებით არ გამოვიდა ან დააგვიანდა გამოსვლა?

ვ. კოტეტიშვილი სამ ნაწარმოებს ასახელებს, რომლებიც თითქოს უგულებელჰყვეს ჩვენმა რედაქციებმა და გამომცემლობებმა. ესენია ალ-ღაზალისა და იბნ რუშდის თხზულებანი, ინდური ეპოსის „მაჰაბჰარატას“ ცალკეული წიგნები და რილკეს „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“.

პირველი ორის თარგმანის არსებობის თაობაზე არაფერი იციან არც „საბჭოთა საქართველოში“, არც „მერანში“, არც „ნაკადულში“.

რილკეს აღნიშნული ნაწარმოები კი „საუნჯეში“ ვერ დაიბეჭდა თარგმანის მდარე ხარისხის გამო. ეტყობა ვ. კოტეტიშვილს თვითონ არ წაუკითხავს ეს თარგმანი და სხვის რეკომენდაციებს ენდო, თორემ იმას კი მიხვდებოდა, ასეთი დონის თარგმანის სანიმუშოდ დასახელება, გარდა უპასუხისმგებლობისა, მიკერძოებასაც ნიშნავს.

ხშირად პოემის დაბეჭდვაზეც უარს მიიღებ, ამას ხომ მთელი ჰონორარი მოუნდებაო! — ამბობს ვ. კოტეტიშვილი.

სანამ ამ მოსაზრებასაც გამოთქვამდა, აქაც უნდა დაფიქრებულიყო ვ. კოტეტიშვილი. შეესწავლა საკითხი და ისე ემსჯელა. გვინდა შევახსენო ამ სტრიქონების ავტორს, რომ ჟურნალის თითოეულ ნომერს გააჩნია მტკიცედ განსაზღვრული ჰონორარი. როცა სპეციალისტები ამ ჰონორარის რაოდენობას ადგენენ, ითვალისწინებდნენ მასში რამდენი სტრიქონი ლექსი, რამდენი პროზა, კრიტიკული წერილი, ნარკვევი, ილუსტრაცია, თავსართი და ბოლოსართი უნდა დაბეჭდილიყო. ასევე გამომცემლობის თარგმანის რედაქციებშიც. მტკიცედ დაკანონებული ფინანსური გეგმა ითვალისწინებს სათანადო ჰონორარს როგორც პოეზიისათვის, ასევე პროზისათვის. ამ თანაფარდობის დარღვევა გადაუჭრელი პრობლემების წინაშე აყენებს როგორც რედაქციებს, ასევე გამომცემლობებს. შეიძლება ეს თავისებურებანი არ იცოდეს კაცმა, არცაა სავალდებულო. მაგრამ ერთი რამ კი უნდა იცოდეს: როცა გაზეთში მსჯელობ ასე კატეგორიულად, საკითხი აუცილებლად უნდა შეისწავლო.

აღარაფერს ვიტყვით გამომცემლობის სხვა ნიუანსებზე, რაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს გეგმის შედგენაზე. ამ თავისებურებებს თუ გავყვებით, შორს წავალთ. მათ თაობაზე ამ წერილის ერთ-ერთმა ავტორმა ერთხელ უკვე ილაპარაკა ტარიელ ჭანტურიასთან დიალოგში, რომელიც ამავე გაზეთში დაიბეჭდა და მისი გამეორება საჭიროდ აღარ მიგვაჩნია. და თუ საერთოდ გამომცემლობის სტრუქტურა, მისი ფინანსური თავისებურებანი, ტირაჟებისა და სხვა ათასგვარი საკითხი ვინმეს აინტერესებს, მზადა ვართ უფრო ფართო წერილით ვესაუბროთ მკითხველს.

**შოთა ნიშნიანიძე,**
ალმანახ „საუნჯის“ მთავარი რედაქტორი.

**გურამ ფანჯიკიძე,**
გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარდისფერი კაცი

გოდერძი ჩოხელი

მოთხრობა

ფერისცვალება დღიდან მეორე კვირაზე ყვითელი ფარდაგები გამოჰფინა შემოდგომამ. საზამთროდ აიწეწა ცხვარ-მეცხვარე. საჯიხვის წვერზე გამოჩნდა თოვლი და ნიკორი შუბლით ჩამოანათა შემოდგომის ყვითელ სამეფოში. თოვლის დანახვაზე უფრო აჩქარდნენ მწყემსები. დიდი ფაფახები დაიხურეს და ქვენამთის გადასასვლელისაკენ გარეკეს ცხვარი.

ბურსარჭირის ჭალამდე გააცილეს გუდამაყრელმა დედაკაცებმა საზამთრო საძოვრებისაკენ მიმავალი ქმრები.

— აბა თქვენ იცით და თქვენმა ქალობამ! — ვითომ სხვათაშორის ჩაილაპარაკეს კაცებმა. მერე თითო ჭიქა ჟიპიტაურით მგზავრის ანგელოზი გაადიდეს და სტვენითა და ჩიე-ჩიეს ძახილით გადაიარეს ქვენა მთა.

დაწყნარდნენ მთები, ყვითელი თავ-თმანი ჩამოიწეწეს ტყეებმა. საჯიხვის მთაზე სთვლემდა მიდამოს დასაზვერად მოსული თოვლი. ნიკორი შუბლით კლდის გაცრეცილ ბექს დაჰყრდნობოდა და მილულვილი თვალებით მიდამოს ეალერსებოდა. მერე როგორც იქნა გაბედა და ნებ-ნება ჩამოუყვა მთის ფერდს. თან რაღაცნაირი მქისე მოწყენილობა ჩამოჰყვა ციდან.

მოიწყინეს სოფელში უქმროდ დარჩენილმა დედაკაცებმა. შეგროვდებოდნენ ხოლმე რომელიმე ბანზე და ზოგი მატყლს სჩეჩავდა, ზოგი ფარტენებს ართავდა, ზოგი ქსოვდა და ზოგიც ჯარას ატრიალებდა. გასათხოვარ გოგოებს კალოებში საქსოვი დაზგები გაემართათ და ზოგნი ფარდაგებს ქსოვდნენ და ზოგნიც საჩოხე შალებსა ჰქსავდნენ.

ისხდნენ დედაკაცები და ჭორაობდნენ. ჭორაობდნენ და თან ვიღაცის მოსვლას ელოდნენ. წამდა-უწუმ დჟდურის გორს გაჰყურებდნენ. იმ გორის ფხას შიშველი გზა მოუყვებოდა, რომელზედაც არც ამვლელი ჩანდა და არც ჩამვლელი. მაგრამ ისე მოუთმენლად გაჰყურებდნენ ამ გზას დედაკაცები, რომ ვიღაცა აუცილებლად უნდა მოსულიყო.

აღარც თოვლი აპირებდა სოფლამდე ჩამოსვლას. კვირიაის გორზე იჯდა და ნისლს იხვევდა.

დაიღალნენ ლოდინით დედაკაცები.

— აღარ მოვიდა, აღარ მოშავდაო, — ჩიოდნენ.

[illegible]

დედაკაცო, შუბლზე ჩიქილა ჩამოიწია და სხვა დედაკაცების გასაგონად თქვა:

— მივწერ კაცს ცხორში წერილს და გადმოვატანინებ. ვარდისფერსაც მივწერ და თაგვისფერსაც, — მერე წამოდგა, კაბის ბოლო ნიშნის მოგებით გაიქნ-გამოიქნია და სახლში წავიდა.

ამბროსას კი დედაკაცები ეხვეოდნენ და ისიც იღებდა ტომარიდან ახალ-ახალ ფერებს.

ეს ძაღლისფერიო.

ეს მგლისაო.

— თქვენი ამბროსუკუნა გენაცვალოთ, ეს კურდღლისფერი თქვენთვის გავაკეთებინეო.

ყველა ფერიდან ამბროსა, თითო ბუწკს იღებდა და ახალ თოვლს აურიდა ზემოდან. ახლო-მახლო ისე აფერადდა თოვლი, თითქოს „საქორწილო ჯარზე“ გასაკრავი ფარდაგი ყოფილიყოს, ანდა რომელიღაც შაჰინ-შაჰის ფეხმოსართხმელი ხალიჩა, რომელზედაც ცალთვალი ამბროსა იჯდა და თავის თაყვანისმცემლებს ათასნაირი ფერებით უხარებდა თვალსა და გულს. სულ ბოლოს ნარინჯისფერი ამოიღო და თქვა:

— გენაცვალოთ თქვენი ამბროსუკუნა!

ერთი ბუწკი ფერი კიდევ მოაყარა თოვლს და ცალი თვალი მიმოატარა ირგვლივ.

●

მთელი თვე ღებვაში გაატარა ამბროსამ. ზოგს საფარდაგე ხიფები მოჰქონდა და ზოგს საჩოხე შალი. ზოგს სამგლოვიარო ჩიქილას უღებავდა და ზოგს საქორწილო ჯეჯიმის ნართებს. მთელი გუდამაყრის ხეობა ამბროსაის ფერებით შეღებილი დადიოდა, თოვლსაც კი მაგისფერი ედო ალაგ-ალაგ.

ათასნაირ ფერად-ფერად ყვავილებს აქარგავდნენ ფარდაგებზე გასათხოვარი ქალწულები. ყვითელ ფერზე ლურჯ იებს ქარგავდნენ, ტყვიის ფერზე შავი ძაფით აქარგავდნენ გულისსწორის სახელებს, ლომებს ქარგავდნენ და სალ კლდეებზე შემომსხდარ მხარკვერიან არწივებს ტყვიისფერ სიჭრელეს აქსოვდნენ ფრთებში.

სადღაც, დასაკარგავში გაქცეული მოწყენილობა, ამბროსაის წასვლას ელოდა. ის კი, ცალ თვალს აბრიალებდა და ათასნაირი ლაღი ფერებით ქარგავდა ზამთარს.

●

საზამთრო იალაღებიდან, თითო თვით, დასასვენებლად მოვიდნენ სახლში მწყემსები, დაკერტილები, დაბეჩავებულები.

ჩააცვეს ცოლებმა ჭრელ-ჭრული წინდები, დაქარგული ახალუხები. დაიპრანჭნენ ისინიც, გაიარ-გამოიარეს, რა ლამაზები ვყოფილვართო, გადაიგრიხეს ულვაშები. მიიპატიჟეს ერთმანეთი და გააჩაღეს ქეიფი: ჭრელებმა, დაქარგულებმა, ულვაშებგადაგრეხილებმა.

— რა რიგები ვართ ეს ტივლები! — თავს იქებდა გამიხარდაი.

ერთი კვირა ქეიფში გაატარეს, მერე სმაც შესწყინდათ და სოფელში გაიარ-გამოიარეს. ამბროსას წააწყდნენ და გაიკვირვეს.

— ეს რა კარგი რამ უშოვნიათ დედაკაცებსაო, — თქვა გამიხარდამ და სხვებსაც მოეწონათ.

— უსაქმურობამ შაგვაწუხა, გავირთავთო.

თანდათან შეაჩვიეს ენა ამბროსას:

— ჩვენი ცხოვრების დამჭრელებელოო.

— ჩვენო გამშავებელოო.

— შე ტყვიისფერო და შე მგლისფეროო.

ზოგს საალერსო სიტყვებიც კი დასცდებოდა ხოლმე:

[illegible] ყვირილით გამორბოდნენ წყლიდან.

მირბოდა ამბროსაი და მისდევდა მთვრალი ხალხი. ტვირთის ზიდვა უჭირდა და ბარბაცებდა. მერე უკანმოუხედავად იგრძნო, როგორ წამოეწია ბერი, როგორ აუქნია ქათმებით სავსე ტომარას ხანჯალი და შეეშინდა, მომკლავსო, იფიქრა; ტომარას ხელი უშვა და თოვლში ჩაიხვია. კარგა ხანს თოვლში პირქვე ჩამხობილი იწვა. მთვრალი ხალხის სიცილი და ქათმების კრიახი მატარებლის ბორბლებივით გადასდიოდა თავზე და უთელავდა სხეულს.

დედაკაცები ეხვეწებოდნენ მთვრალ ქმრებს:

— ცოდვა-მადლი აღარ იცითოა!

და გულში ესიამოვნა ეს ხმა ამბროსას. — თქვენი ამბროსუკუნა გენაცვალოთო, — გაიფიქრა თავისთვის. მერე როგოც იქნა გაბედა და წამოიხედა. ბერი იჯდა და ქათმებს აჭრიდა თავებს, თავწაცლილი ქათმები წითლად ღებავდნენ მიდამოს.

— რა მღებავი ქათმები ჰყოლია ამ კაცსაო, — იცინოდა ბერი.

მერე წაიყვანეს ამბროსა სოფელში. დედაკაცებს ქათმები მოახარშვინეს და გამართეს ქეიფი. ამბროსაც დასვეს სუფრაზე და თან ანუგეშეს:

— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, შე კაი კაცო, შენა. შენი გაზრდილი ხო არ იყო ის ქათმები, ჩვენი იყო.

— არა ტყუის ბერი.

— რო მოხვედი და მთელი გუდამაყარი გადაგვიღებე, რასა ფიქრობდი, თუ წახვალ და დაიკვეხებ, გუდამაყარში სულ ჩემგან შეღებილი ხალხი დადისო.

— არ გამოგივა შე მგლისფეროო, არა!

რაღაცა ცუდს გრძნობდა ამბროსა. მუდარის თვალით შესცქეროდა დედაკაცებს, იმათ კი, ქმრების შიშით ხმა ველარ ამოეღოთ და გამტკნარებულები ისხდნენ.

— შავღებოთ! — დაიძახა ბერმა.

— რა ფრად? — იკითხა გამიხარდამ.

— ვარდისფრად.

ვარდისფერის გაგონებაზე ისევ იმ სიფითრემ გადაუარა სახეზე ამბროსას, პირველად რომ ჰკითხა ბერის დედაკაცმა, — ვარდისფერი არ მოიტანეო.

— ვარდისფრად არ ივარგებს, — თქვა მწარიამ.

— ვითომ რატომ არ ივარგებს?! — გაბრაზდა ბერი.

— იმიტომ, რო, ვარდისფერი არ მომწონს.

— შენ არ მოგწონს, მაგრამ ამბროსას მოსწონს.

— არ მომწონს ვარდისფერი, — ამოღერღა გაფითრებულმა ამბროსამ.

— ერთი ამას დამიხედე, სარჩევშიც რო შამივიდა! — გაბრაზდა ბერი. სახლში გაიქცა და „ცხვრიდან“ მოტანილი ვარდისფერი მოიტანა.

გახადეს ამბროსას ტანსაცმელი და მოამზადეს საღებავი.

— მე ჩემი ნაწილი შავად უნდა შავღებო, — აუშარდა ბერს მწარიაი.

— მე კიდევ ყვითლად, — თავისი წილი მოითხოვა გამიხარდამ.

ვერ მორიგდნენ: ზოგი ყვითელს იძახდა, ზოგი მწვანეს, ზოგი ტყვიისფერს, ვისაც რა მოსწონდა და ვისაც რა ფერი ეცვა. ბოლოს წილი ყარეს: ზოგს ამბროსას ხელი ერგო, ზოგს ფეხი, ზოგს თავი. დაადგნენ და თავ-თავის საყვარელ ფერზე შეღებეს. ბერმა თავისი ნაწილი ვარდისფრად შეღება.

— შე ტყვიისფერო და შე მგლისფეროო.

— შე გაზაფხულო და შე ზაფხულოო.

— ჩვენ რო გვღებავდი, ჩვენ ღებვა არ ვიცოდით თუ რა გეგონაო.

— მე ხომ ვარდისფრად არაფერი შემიღებიაო, — ამოიკვნესა ამბროსამ და ვარდისფრად შეღებილ ადგილზე, სირცხვილისაგან აწითლებულმა, ლურჯი ხელები დაიფარა.

— ვარდისფერი შენი დასაწუნებელი ფერი არ არიო, — იწყინა ბერმა.

მანამდის არ ჩააცვეს ტანსაცმელი, მანამ სიცილით გული არ იჯერეს. მერე თქვეს: — კაცო, ესე ხო არ გავუშვებთ, ჩვენი სირცხვილია, სხოგან რას იტყვიანო.

— გავრეცხოთ, — თქვა გამიხარდამ.

— ჩვენ რატო გავრეცხოთ, არაგვი აქ არ მოდის?!

— ვარდისფერს, არაგვს კი არა, არავის არ გავარეცხინებ. — შედგა ცივ ქვაზე ბერი.

— მა რა ვქნათ, კაცო, ჩვენი სირცხვილია. თუ ეგე გულით გინდოდა, რაღა შუა ნაწილს აფერადებდი ვარდისფრად.

— ვარდისფერს არ გაგარეცხინებთ, — გადაუწურა იმედი ბერმა.

რაღა ექნათ, წაიყვანეს არაგვზე და თავ-თავისი ნაწილი გარეცხეს. მარტო ვარდისფერიღა დაუტოვეს ტანზე.

●

მას შემდეგ ამბროსა თვალით აღარავის უნახავს.

არავინ იცოდა საიდან იყო მოსული, ან ჰყავდა ვინმე გულშემატკივარი თუ არა. გაიკითხ-გამოიკითხეს, მაგრამ არც სხვაგან იცოდნენ.

მარტო ის იცოდნენ რომ ვარდისფერი არ უყვარდა, სხვა არაფერი.

კარგა ხნის მერე გამოჩნდა კაცი, რომელმაც თქვა:

— მგონი ვარდობის თვეში ცოლი გარდაეცვალა და ალბათ იმიტომ ეჯავრებოდა ეგ ფერიო.

სხვა არ იციან არაფერი.

ანდა, სხვა რა უნდა იცოდნენ.

დადიან ახლა, უფეროები, ულაზათოები. ჯღუნაი ბერსა ჰგავს ბერი კოფიას, კოფიაი მწარიას...

— რა ჩამოკვერტილები დავდივართ, ეს ტივლები! — ჩივის გამიხარდაი.

შორიდან ძლივსღა სცნობენ ცოლები.

---

დილარ ივარდავა

# ახალი ლექსები

### ფიქრები რუხის ციხესთან

გადაიქროლეს გრიგალებმა,
გადაიარეს,
ციხეს სიმშვიდედ მოხვევია
სურო და ფითრი;
რუხის ციხესთან
მწვანე ყანა ისევ შრიალებს,
მაგრამ მე ნამით
მიპყრობს წარსულ დღეებზე ფიქრი.
აქ ქართველ სპათა
უწმინდესი დანთხმულა სისხლი, —
მომხდურთ ხმალდახმალ
შეელეწნენ გმირი კოლხები;
აქ სისინებდა ისარივით
გამჭოლი ისლიც,
ციებ-ცხელებით გათანგული
თვლემდნენ ქოხები.
მიმდუღრულიყო ჭაობებზე
ჭორთი და შოთხვი
და იდგა ჟამი უსასოო,
მწუხრის ზარებით;
ესიზმრებოდათ მამელუკებს
ცრემლით და ოხვრით
შორს — წართმეული ფაზისი და
პონტოს კარები.
გადაიარეს გრიგალებმა,
გადაიარეს,
დღეს ისვენებენ
ვალმოხდილი ბაირაღები;
იმ ძნელბედობას
მზის გაბმული სიმი წკრიალებს
და ბანს აძლევენ
დახუნძლული ქართლის ბაღებიც.
ვით ოაზისში
იაგურის ქლიავი თვალები,
გვიმზერს წარსული
ვარამნახულ ხათოფურებით, —
მზეს დღეს
სიმშვიდე დააქვს ჩვენში
ოქროს ცურებით,
განახლების და აღშენების
ქრიან ქარები.

### გახსენება

მოიქცა წვიმა აგვისტოს ხვატში,
მყიფე ღრუბლების მომსხვრა გუნდი,
წვიმა საცაა ბუჩქებად აშლის
ჭაობის ლაქაშს — ფუყეს და უნდილს.

დააკვდა ჭონჭყზე ნაცარა ქრთილი,
ზესკნელს დააცხრა ტენის წყალობა,
შესწყვიტა შაშვმა გულით გალობა —
მკერდში ჩაემსხვრა ცისკარი დილის.

ყვითელ ყანებთან ფრუტუნებს ცხენი,
ლერწამი მაინც ქარს ედავება,
ჩემი კოლხეთის დღე — უკვდავებას,
ვიცი, დახატავს მშრომელის ხელი!

მზე უმოკლდება ხოხობს და ყანჩას,
დგას შეცხადება ბაყაყ-გორდების, —
ბალღს ბალღობისას რაც მე აქ
დამრჩა,
მოვკვდები, მაგრამ მომაგონდება!

●

თუ კი თოვლია
და სუსხი მინდვრად,
ვარდებს ვინღა ჰკრეფს?!
თუ კი მაისი კაბებს იკერავს,
ჭირხლს ვინღა იგრძნობს?!
თუ კი შორსა ხარ
და მარტო ვრჩები,
რა გამახარებს?!
თუ კი ჩემთან ხარ,
ჩემს გვერდით, მახა,
რა უნდა სევდას?!
არის ამ ქვეყნად
იმდენი რამ უუცხადესი,
უბრალო სიტყვაც ზედმეტია
მათ გასამხელად!

●

წაფრენილი აქვს ონინარს ყელი
და ყანჩასავით ცალ ფეხზე მდგარი,
ხელს რომ შეახებთ, შეარხევს ქარიც
და ჭრიჭინობლის ჰანგებზე მღერის.
ჭიდან მორჩილად ცის ნაჭერს ხაპავს
და ცასთან ერთად კამკამა ჩქერი
ვედროში როცა დაიწყებს ლაპლაპს,
მოიწევს ზევით,
თრთოლვით და ღელვით.
აღესრულება რა ნატვრა გულის,
ის ახალ ქარს და ახალ ჟინს ელის...
თუ გვაქვს თვისება ჩვენც ონინარის —
ვისწრაფვით ცოდნის უსაზღვრო
ჭისკენ...
მოვიკლავთ წყურვილს?
იმ წამსვე, ისევ,
წყურვილი მძაფრი, გრძნობთ,
რომ წინ არის.

### ცოტნე დადიანს

ან ლეგენდად და ზღაპრად ქცეული —
სახელი ხატის — მუდამ ნათელი,
ამგვარ განწირვით,
სისხლით,
სხეულით
მტერს აოგნებდა უწინ ქართველი.

დაბადებული ერის მსახურად,
მამულისათვის იტანდა ტკივილს, —
საქართველო სულ დიდებით ივლის,
სანამ ცოტნესი ქუდი ახურავს.

---

რეცენზია

# „ერთი ლამაზი სიმღერის გარდა“...

შალვა ფორჩხიძე

ფრიდონ ხალვაშის უშუალო, ძალდაუტანებელი პოეტური სტრიქონების ექო, თავისებური, საჩინო ინტონაციის მქონე თბილი ლირიკული ხმა კარგახანია ისმის ქართულ პოეზიაში და თან მოაქვს სხალთისა და ხიხანის, კახაბრის ველისა და აჭარის წყლის მიდამოების საამო სურნელი.

ეს ის მხარეა, სადაც სამასი წლის მანძილზე ქართველი კაცის გონებაში ერთმანეთს ებრძოდა ვაზის ჯვარი და ნახევარმთვარე და მაინც, ისლამის ლოცვებით გაბრუებული ოჯახის დიასახლისი, კეცში რომ ჭადსა და პურს ჩააკრავდა, ზედ ჯვარი გამოჰყავდა ფაქიზად, ხოლო ქართული სულის უტეხობასა და ნებას ვაჟკაცურ შრომის რიტუალებსა და ხალხურ ცეკვებსა და სიმღერებშიღა თუ ამჟღავნებდნენ...

ყოველივე ეს მეტ-ნაკლები სიცხადით გამოსჭვივის ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში, რაც მის პოეზიას მეტად თავისებურ იერს ანიჭებს უთუოდ.

მართალია, ქართველი პოეტები ოდითგან წერდნენ საქართველოს მწარე ისტორიული კატაკლიზმების დროს მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილ ადამიანებზე და ამ მიმართულებით ბრწყინვალე პატრიოტული ლირიკის ნიმუშები შექმნეს კიდეც, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ტრაგიკული გრძნობა თანამედროვე პოეტებს შორის იშვიათად თუ ვინმეს განუცდია ისე მწვავედ და მტკივნეულად, როგორც ეს ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში მოჩანს. ამის უტყუარი საბუთია მის სხვა მრავალ ლირიკულ ქმნილებებთან ერთად, ლექსების მთელი ციკლი „მემლექეთი“.

ბუნებრივია, სამშობლოს აწმყოზე შეყვარებული პოეტი სიამაყით ეძებს თავისი შორეული წინაპრების კიდევ უფრო ძველ წინაპართა ნაკვალევს და მათ ყოველ ნამოქმედარსა და ნახელავს გულის ფანცქალით შესცქერის...

ფრიდონ ხალვაშის პატრიოტული პოეზიის მთავარი ძარღვი ფეთქავს მთლიანი, განუკვეთელი საქართველოს გულწრფელი სიყვარულით: „მე მარადიდში დამრჩა მარჯვენა, ხიხანის ციხედ ვიყავ ქცეული, და შენი სიტყვის გადასარჩენად ილეწებოდა ჩემი სხეული!“ წერს პოეტი და მის წარმოდგენაში კვლავ ბრწყინდება ქართველი ხალხის სხვადასხვა კუთხის უძველესი საცხოვრისები: „გამრმივლია ჭირი ყოველი, ღიმილიც ვიცი, დარდის მოთმენაც... მე ჭოროხს გაღმა ორი სოფელი დამრჩა ნახევარ ქართლის ოდენა!“ ვკითხულობთ ლექსში და გული სამშობლოსადმი კვლავ რაღაცნაირი, სევდაშერეული სიყვარულით გვევსება. ფრიდონ ხალვაშის ეს ლექსი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია. აქ იგრძნობა პოეტის თბილი, გულწრფელი დამოკიდებულება ყველაფრისადმი, რაც კი ასე მახლობელია და მშობლიური ჩვენთვის. ამ ლექსში მოხდენილადაა გახსნილი პოეტის მრწამსი, სულის მოძრაობა და წმინდა ზრახვანი: „თბილისო, მე რომ შენთან მოვედი, სიყვარულივით ვიდექ მდუმარი... მეც უნდა ვიყო შენი პოეტი, მე არ მერქმევა შენი სტუმარი!“

ამგვარი ლირიკული გულწრფელი აღსარება მრავლად მოიპოვება ფრიდონ ხალვაშის პოეზიაში, რაც პოეტის კეთილშობილების საშურველი ნიშანია საერთოდ. სისადავე, უშუალობა თუ უბრალოება იხატება გულწრფელობაში, რაც უთუოდ ბუნებისაგან მონიჭებული უებარი მადლია.

ფრიდონ ხალვაშის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის შეგნებულად გარიდებულია ხელოვნურად გართულებულ პოეტურ სახეებს. იგი წერს ისე, როგორც ხედავს და განიცდის, წერს გულწრფელად, უშუალოდ. არასოდეს არ ალამაზებს ცხოვრებისეულ ფაქტებს ყალბი, გამოგონილი ილუზიებითა და პოეტური ფერებით, არასოდეს არ ამძიმებს ლექსს ყურით მოთრეული უცნაური გამოთქმებითა და არაფრისმთქმელი, უადგილოდ მოტანილი მრავალსიტყვაობით. მას ემღერება და მღერის ძალდაუტანებლად, უშუალოდ, ყველაფერზე, რაც მის ხალხს უხარია და აღელვებს, რაც მის გულსა და სულს აღიზიანებს, უყვარს და აღაფრთოვანებს. და ამაშია სწორედ მისი პოეზიის ხიბლი. ამის გამოა, მის ყოველ ახალ ლექსს, ნაწარმოებს მუდამ ინტერესით ადევნებს თვალს მკითხველი და სიმპათიით იმსჭვალება პოეტისადმი.

ფრიდონ ხალვაში ჩვენი მღელვარე ცხოვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო მომღერალია. მისი პოეზია გამოირჩევა თემატიური მრავალფეროვნებითა და სიუხვით.

მას არ ახასიათებს ვიწრო, შეზღუდული კამერულობა, აკვიატებული თემა და მის ირგვლივ ტრიალი. მას აქვს საკმაოდ ცხოველი ფანტაზია და ყოველთვის იმის ცდაშია, ერთხელ გამოთქმული პოეტური აზრი არასოდეს გაიმეოროს... და ამას პოეტი აღწევს განწყობილებისა და ინტონაციის მრავალფეროვნებით, რაც უსათუოდ კარგი და საგულისხმო თვისებაა ყოველი შემოქმედისათვის.

ფრიდონ ხალვაშს ნამდვილად აქვს მომადლებული კოლორიტის გრძნობა და მოვლენების მძაფრად განცდის უნარი, რის გამოც მისი ლექსი არასოდეს არ არის გარკვეულ ემოციურობას მოკლებული.

როცა მის ლირიკულ ლექსებს ვკითხულობთ, ჩვენს თვალწინ ცოცხლდება საქართველოს ბუნების განუმეორებელი სურათები, მისი ერთ-ერთი უმშვენიერესი მხარის — აჭარის ხასხასა, ხალისიანი ფერები, მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ფრიდონ ხალვაშის პოეზიის ღირსება.

პოეტის შემოქმედება იმითაცაა საინტერესო ჩვენთვის, რომ იგი მოხერხებულად, ოსტატურად გადმოგვცემს პოეზიის ენაზე თავის მშობლიურ მხარეში — აჭარაში მცხოვრები ქართველი ხალხის სულიერ მისწრაფებებსა და ლტოლვას, ფიქრსა და ზრახვას. როცა პოეტი წერს: „შენი შვილი ვარ, შენი პოეტი, მე არ ვიქნები შენი სტუმარი!“ ამით ის ცხოველმყოფელად გამოხატავს აჭარაში მცხოვრები ხალხის სურვილებსაც.

ფრიდონ ხალვაშს აქვს ერთი პატარა ლექსი: „ჩემი ვარსკვლავი“, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ბუნებას ერთნაირი ოსტატობითა და გულმოდგინებით შეუქმნია დიდი და მცირე ციური სხეულიც კი, რომ არ დაირღვეს სამყაროს ჰარმონიულობა. ასეა ცხოვრებაშიც. ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, ზედმეტს ვერ ჰგუობს ცხოვრება, რადგანაც ის ბუნების მკაცრ კანონზეა აღმოცენებული: „შურით გავყურებ ვარსკვლავებს დიდრონს, ადამიანი მგონია ყველა!“ ამბობს პოეტი გულღიად და იქვე განაგრძობს: „პატარა ჰქონდა ჩემსას სინათლე, ვამბობდი, ალბათ მალე გაქრება, მაგრამ ვიცოდი — ცის სიდიადე უმისოდ მაინც არ ივარგებდა!“ აქ მეტად მორიდებულად მიგვანიშნებს პოეტი თავისი ლექსების მნიშვნელობაზე, რომელსაც ის კარგად გრძნობს. მაგრამ ჩვენ თამამად უნდა ვთქვათ: ფრიდონ ხალვაშის შემოქმედება, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ფრიად საჭირო და მნიშვნელოვანია ქართველი ხალხისათვის. მის მიერ საზოგადოებრივ მოტივებზე შექმნილმა ლექსებმა დიდი ხანია მოიპოვეს არსებობის უფლება და ხალხის სიყვარულიც დაიმსახურეს.

ფრიდონ ხალვაშმა იცის პოეტური თემის თავისებური გახსნა და გააზრება, მხატვრული ჩანაფიქრის ბუნებრივი განვითარება, სათქმელის ნათელი, მკაფიო ფერებით გამოკვეთა, ლექსის კეთილხმოვანი ბგერებით აჟღერება, რის მეშვეობითაც მკითხველთან ადვილად ამყარებს ინტიმს. ამის საუკეთესო მაგალითად მიგვაჩნია პოეტის ლექსი „გენაცვალე!“

„სნეული ხარ — გეწამლება,
ჭაბუკი ხარ — შეგაყვარებს,
მოხუცი ხარ — მოგაშორებს
შუბლზე წელთა ჩანაღარებს.
გაწყენინეს? — დაგავიწყებს
ყველა ფლიდს და ენამწარეს,
ღარიბი ხარ — გაგამდიდრებს,
ასეთია „გენაცვალე!“
. . . . .
გათენდება დილა სავსე, წამოდგება მთის მზე ზეზე, მერე ღამე გაშავდება, ვით ადესა თხმელის ხეზე. საქართველოს დღევ და ღამევ, შენს ფერადებს რაღა დალევს, შენი წყალი და ჰაერი ტკბილია, ვით „გენაცვალე“.

როგორც მკითხველი ხედავს, აქ სიტყვა „გენაცვალეთი“ სუნთქავს მთელი ლექსი. ამ ერთ სიტყვაშია დაჭერილი ლექსის მთავარი აზრი. ამ ერთ სიტყვაში გახსნილია ჩვენი ხასიათი, კეთილშობილება და მოყვასისადმი მოწიწება, სულის სიმდიდრე და სათნოება. და ამას ახერხებს პოეტი სრულიად უბრალოდ, სადად. ბუნებრივად და სწორედ ეს არის ოსტატობა!

ასევე უშუალოდ აქვს შექმნილი ფრიდონ ხალვაშს ბევრი სატრფიალო ლექსი, რომელთაც მას, სხვა პატრიოტულ ლექსებთან ერთად, სამართლიანად დაუმკვიდრეს თბილი, ლირიკული ხმის პოეტის სახელი.

მაგრამ მაინც ფრიდონ ხალვაშის პოეზიის მაცოცხლებელი ნერვი თანამედროვე ადამიანის სულიერი და ფიზიკური ცხოვრების მხატვრულად ასახვის ინტერესით არის დამუხტული უმთავრესად. პოეტს გულწრფელად აღაფრთოვანებს ქართველი ხალხის ჰეროიკული შრომა, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის გამარჯვება ცხოვრების ყოველ უბანზე და მშვენიერ, რეალისტურ ყოფით სურათებს ქმნის. ფრიდონ ხალვაშს თავდავიწყებით უყვარს ცხოვრება, სიცოცხლე და სიხარულით უმღერის ჩვენს დიდებულ აწმყოს, გამარჯვებული ადამიანის ბედს, დიად მომავალს, თანამედროვეობის ჯანსაღი, ძლიერი სუნთქვით გასხივოსნებული რომ ესახება და მუდამ საყვარელ არსებასავით ეფერება, ყველაფერს, რაც მშობლიურ მიწა-წყალზე ხდება და კეთდება ადამიანის სასიკეთოდ: „ეს სიყვარული მოსავლელია ახლად მორჩენილ ჭრილობასავით“... მოუწოდებს იგი ყველა თავის თანამედროვეს შთაგონებულად და მკითხველს სჯერა პოეტის გულწრფელობა...

გასულ წელს გამოიცა ფრიდონ ხალვაშის ახალი ლექსების კრებული „ასი მზე დედის გულისა“. სწორედ ეს ლექსებია ფრიდონ ხალვაშის კაცთმოყვარე, მართალი გულის, მისი სულის სინათლისა და თრთოლვის, გამარჯვებული თავისუფალი მშრომელი ხალხის უანგარო სიყვარულის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება. ამ ლექსებში აქვს შესხმული ხორცი კიდევ უფრო სრულყოფილად ყველა იმ მოტივს, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. ამ ლექსებში სუნთქავს კიდევ უფრო ლაღად ფრიდონ ხალვაშის ცოცხალი პოეტური სიტყვა. ერთ-ერთ ლექსში პოეტი ამბობს: „მომიტანია დღეს გულის ძგერად სიტყვა მაღალი, როგორც გვირგვინი“. ეს „მაღალი სიტყვა“ გახლავთ სწორედ აჭარის მიწა-წყალზე დაბადებული, სამასი წლის მანძილზე დაღუპვა რომ ემუქრებოდა, მაგრამ არ დაიღუპა, არ დაიკარგა ქართველი მამულიშვილების მადლითა და ღვაწლით, რომელთა გზასაც აგრძელებს პოეტი: „მიწამ სათქმელი როცა მომანდო, უკეთ ვიტყოდი, ალბათ, ეგონა... მაგრამ მშობელი, მჯერა ბოლომდე, არ დამაყვედრის თავის დედობას“...

პოეტს, ვისაც გულწრფელად უყვარს სამშობლო, მას მშობელი მიწა „დედობას“ არ დააყვედრის, მაგრამ ვერ დავეთანხმებით პოეტს, როცა იგი წერს: „ვინ დაეძებს სტრიქონში რითმაა თუ რიტმი, მთავარია, რას იტყვი, არა — როგორ იტყვი!“

პოეზიაში რითმას, რიტმს არათუ ვინ დაეძებს, ყოველი ჭეშმარიტი პოეტის ოცნებაა კარგი რითმისა და რიტმის მიგნება, რომ პოეტური აზრი უფრო ცხოველმყოფელი, ემოციური გახადოს. პოეტის აზრი: „მთავარია, რას იტყვი, არა — როგორ იტყვი“, მეტი რომ არ ვთქვათ, მცდარია. მცდარია იმიტომ, რომ პოეზიაში სწორედ თქმასა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ყოველი დიდებული აზრი, ჩანაფიქრი მკვდარია და უფერული, თუ მას თავისი შესაფერისი სრულყოფილი ფორმა არ ახლავს. ჩვენი პოეტის ოცნებაც ხომ ეს არის მხოლოდ და მეტი არაფერი. განა თვითონვე არ წერს: „სხვა არაფერი არ მინატრია, ერთი ლამაზი სიმღერის გარდა!“...

---

ბორენა ჯაჭვლიანი

# წარწერები იაპონურ გრავიურაზე

დილიდანვე ამეკვიატა ფიქრი:
წუხელ მთვარემ თავი დაიხრჩო
ნოემბრის ნისლიან ცაზე...
შემდეგ, ქუჩაში გამოსულს
ბავშვი. შემომხვდა,
ვერცხლის ზარებივით რეკდა
მისი სიცილი, —
ის საბავშვო ბაღში მიჰყავდა მამას...
წუთით გადამავიწყდა:
როგორ მიიმალა წუხელ მთვარე
ნოემბრის ნისლიან ცაზე...
. . . . . . .
მთელი დღე, სამსახურში,
როცა ვთხზავდი გაზეთისათვის
ამგვარ ინფორმაციას:
თუ რამდენი მხატვარი ქმნის
თუშეთის მოტივებზე ტილოს,
(ეს ძალზე საინტერესო თემაა
წლევანდელი საშემოდგომო გამოფენიდან),
არ მასვენებდა ფიქრი მთვარეზე...
მაინც რატომ გავურბოდი ამ ფიქრს, —
ახლა, როცა ვიხსენებ,
არ მაგონდება...
ქუჩაში კი ყველაფერი
ძველებურ მოტივს მღეროდა:
ადამიანები — სანთლების რიგი,
თავიანთ ჩრდილებს ჰფენდნენ,
ესალმებოდნენ ერთმანეთს
და ნოემბრის ქარითა და წვიმით
დამთვრალნი
არ ფიქრობდნენ, რომ ამაღამ
მთვარე აღარ ამოვიდოდა...
აი, ის გოგონა, ნაადრევად გახვეული
ძვირფას ქურქში,
რომ გავაჩერო და ვკითხო,
თუ რამდენჯერ ჩაიხედა
მის სულში მთვარემ,
ალბათ გაოცებისაგან
დღისით, მზისით, —
ცას ახედავს...
შეყვარებულები კი ღამით,
გვიან ღამით იყურებიან ცისკენ...
. . . . . . .
ჯიხურთან საღამოს გაზეთს
კითხულობდნენ...
გამახსენდა ჩემი მიცვალებული,
რატომღაც, მეგონა:
გაზეთის მივიწყებულ კუთხეში
იქნებოდა მასზე ნეკროლოგი...
კაცმა, რომლის ხელშიც ვცდილობდი
ამ ცნობის პოვნას,
გაკვირვებულმა გამომხედა:
— იცით, აქ უნდა ყოფილიყო
პატარა განცხადება იმაზე,
თუ როგორ მიიცვალა მთვარე...
. . . . . . .
გაეცინებათ ჩემს მეგობრებს
ამგვარი ახირება: — მხატვარი —
(ისევ წლევანდელი საშემოდგომო
გამოფენიდან),
როდესაც არქმევს თავის ტილოს —
„ოთახი“, —
რომელიც მნახველთა გაოცებას იწვევს
თავისი გარეგნული სიცარიელით, —
მართლა მხატვარია. და, აი, რატომ:
ის გიქმნის განწყობილებას,
სადაც შეგიძლია როგორიც გნებავს
ქალი წარმოიდგინო; ანდა, კედელზე,
სურათს ფონად რომ აქვს,
რაც გინდარა დაჰკიდო...
რა საჭიროა მზამზარეული სახეები,
სხვისი გემოვნების უნიჭო ასლები,
ყველას თავისი ფერწერა აქვს...
. . . . . . .
მე კი, მხატვარი რომ ვიყო,
დავხატავდი წუხანდელ სურათს:
მთვარეს — ნოემბრის ნისლიან ცაზე...
. . . . . . .
მე ვიცნობ ერთ პოეტს,
ვიცი, მას სამშობლო ისევე ძლიერ უყვარს,
როგორც ჩვენ ყველას ერთად;
მე მის სულსაც ვცნობ,
ხშირად ვხედავ ხოლმე,
თუნდაც, როგორ გითხრათ,
შემიძლია დავინახო —
„ქალაქში, მტვერში
ნაიქცა ბავშვი...“
მაგრამ... არ შეიძლება,
რაღაც არ შეიძლება ცხოვრებაში
იყოს ისე, როგორც მუსიკის ფონზე!..
თქვენ, ქუჩაში,
ზარების რეკვის ხმა რომ მოგესმათ
ხომ ვერ გადაიწერთ პირჯვარს?!
პირჯვრის წერა კი ძველის-ძველი
რიტუალია,
თითქმის სამყაროსავით ძველი
და გვმართებს ხოლმე მისი გახსენება...
. . . . . . .
მე რომ წავიკითხო ახლა ის,
რასაც ვწერ, გამეცინება...
საოცარია თეთრი ლექსი,
ისე მოგაყოლებს ამბავს,
თითქოს შენს მეგობართან
სადმე, ჩამყუდროვებული
იჯდე და იხსენებდე —
სურათს, იაპონური გრავიურიდან:
როგორ მიიცვალა იმ ღამით მთვარე
ნოემბრის ნისლიან ცაზე...

# ჩვენი მილოცვები

## გიორგი სამხარაძე — 70



გიორგი სამხარაძის დაბადების 70 წელი შეუსრულდა. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ და საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ იუბილარს გაუგზავნეს მისალმებები. მისალმებებში ნათქვამია:

ძვირფასო გიორგი, ქართველი მწერლები სულით და გულით მოგესალმებიან და მოგილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

შენი მრავალი პოეტური კრებული გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა, არაერთი პოპულარული სიმღერა შექმნილა შენს ლექსებზე. სამ ათეულ წელზე მეტი ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ღირსეული წვლილი მიგიძღვის ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის მამულიშვილურ საქმეში. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდი საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებას. ამ პერიოდში აღიზარდნენ ნიჭიერი მწერლები, რომელთაც აამაღლეს ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრების დონე.

ძალიან დიდი ხნის მანძილზე იდექი ქუთაისის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების შუაგულში და შენი ლექსებით, წერილებითა და გამოსვლებით აქტიურად ეხმაურებოდი ჩვენი დღევანდელობის უმთავრეს მოთხოვნებს.

ძვირფასო გიორგი! გილოცავთ სახელოვან თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელ სიცოცხლეს, მრავალ შემოქმედებითს სიხარულს მშობლიური ლიტერატურის, მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ.

## მაისი ქუთაისში

ჰქუხს ქალაქში სიმღერები,
ჰყვავის ბაღი და უბნები...
ნაზ ფერებში ჩაძირულან
ატმები და ალუბლები.

აქ ბულბული ბუდეს იდებს.
შეფეთქილან ხის ღერები,
მერცხლებივით გადმოფრინდნენ
ლექსები და სიმღერები.

მტკიცე ძმობამ შეგვაერთა,
მასზე მღერის მუდამ გული.
ვარდებივით იშლებიან
სიმღერა და გაზაფხული.

დროშებით და ყვავილებით
მოფარჩულან აივნები,
ცას ფარავენ ვარსკვლავები,
ცქერით განა დაიღლები!

მოდის ხალხი — ერთი... ორი...
მშრომელთ წყება მოდის ნელა,
ღამით ცაზე აინთება
ცხრაფერადი ცისარტყელა.

ჰქუხს ქალაქში სიმღერები,
ჰყვავის ბაღი და უბნები,
მოქარგულან ნაზ ფერებით
ატმები და ალუბლები.

გიორგი სამხარაძე.

## კაპიტონ რუსიძე — 60



დაბადების 60 წელი შეუსრულდა კაპიტონ რუსიძეს. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

კაპიტონ რუსიძე ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა 1936 წლიდან, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები და ნოველები. მას შემდეგ მისი ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ნაყოფიერად მუშაობს კაპიტონ რუსიძე პუბლიცისტიკაში. მისი სტატიები, ნარკვევები, ფელეტონები ხშირად ქვეყნდება ჩვენს პერიოდულ პრესაში. იგი წლების მანძილზე ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას. სხვადასხვა დროს კაპიტონ რუსიძე მუშაობდა აჭარის რადიოკომიტეტის თავმჯდომარედ, გაზეთ „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტად, აჭარის „სახელგამის" დირექტორად, აჭარის კულტურის სამინისტროს ხელოვნების განყოფილების გამგედ და კოლეგიის წევრად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მთავარ რედაქტორად. ამჟამად იგი საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რადიომაუწყებლობის პროგრამების მთავარი რედაქტორია.

კაპიტონ რუსიძე დიდი სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე იყო გამანადგურებელი ბატალიონის ასეულის პოლიტხელი. დაჯილდოებულია მედლებით.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, გულითადად მიესალმება იუბილარს, უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

# გზები

ეთერ სახვაძე

ავლაბარში, მთავარ ქუჩაზე ერთი ორსართულიანი სახლია ლამაზად შემკული ძველებური აივნით. ეზოს მხრიდან კი ვაზი და ხეხილნარი აკრავს. კიბეებზე ყვავილებია ჩარიგებული. შუშაბანდში — თუთიყუშები უსტვენენ.

აქ ყოველ დილით მაგიდას შემოუჯდება საუკუნეს მიტანებული ნიკო კვეზერელი-კოპაძე და შუადღემდე ან კითხულობს, ან წერს, ან მანქანაზე ბეჭდავს.

შუადღით უმცროსი ძმა შემოაკითხავს, ფინჯანი ყავით. გაიხსენებენ მთისას, ბარისას, უკვირდებიან: ბზარი ხომ არ შესდგომია ხსოვნას?

ეს სახლი მათ დაბადებამდეა აშენებული იმ ადგილას, რომელსაც თავის დროზე ავლაბრის მამული ერქვა, საწყლისპირე და საფიჩხურე.

ძველია კვეზერელთა გვარი და ეამაყებათ ძმებს. ავლაბრელი „კვეზერელი დავითა" 1766 წელს საპატრიარქო ყმათა ნუსხაშია მოხსენებული, ხოლო სამი წლის შემდგომ ანტონ პირველის წყალობის წიგნი გვამცნობს: იესეს ძე კვეზერელი ოთარისა და მისი შვილებისათვის კათალიკოსს უწყალობებია სვეტიცხოვლის კუთვნილი მამული ავლაბარში.

პაპა ნიკა ცნობილი ქურქჩი ყოფილა და იმდენად სახელოვანი მოქალაქე, რომ ქვემო ქართლის თავადს ლევან ბარათაშვილს ცოლად შეურთავს მისი ქალიშვილი ნატალია.

ნიკას ვაჟი ივანე ქართველ მრეწველ დავით სარაჯიშვილს თავის თანაშემწედ გამოუზრდია, დაუხელოვნებია კონიაკის დამზადების საქმეში.

ივანეს მეუღლე მარიამი ქალიშვილი ყოფილა ალექსი ბრაგვაძისა, რომელსაც ფოტოსურათში მკერდს უმკობს მედლები, შამილთან ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის მიღებული.

ივანეს დიდხანს უცოცხლია. მის სახელზე შემონახულა ლიტერატურული მუზეუმის მადლობის წერილი გიორგი ლეონიძის ხელმოწერით, უსასყიდლოდ გადაცემული ძველისძველი გაზეთებისათვის, ხოლო ამაზე ათი წლით ადრე, 1929 წლის მაისში, გიორგი ლეონიძეს ასეთი წერილი მიუწერია: „ამას წინათ ქ-ნ მელვინეთუხუცესის საშუალებით მე გთხოვეთ ერთი კვირის ვადით თქვენი საგვარეულო საბუთები გადასასინჯად და შესასწავლად, რადგან მე ვმუშაობ საერთოდ ძველ ქართულ საბუთებზე".

ბავშვობისა და სიყმაწვილის საუკეთესო დღეები ნიკო კვეზერლისა დაკავშირებულია მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე დავით სარაჯიშვილის სახლთან, სადაც მამას დაჰყავდა ხოლმე და სადაც თავს იყრიდა მოწინავე ქართული ინტელიგენცია; და მანგლისთან, მამიდა ნატალიას სასახლესთან. ერთი იმდროინდელი მოგონება კიდეც გამოაქვეყნა „მნათობში" — „ზაფხული პოეტ იროდიონ ევდოშვილთან ერთად".

ორიოდ სიტყვა ნატალიაზეც უნდა ითქვას: იგი ცნობილი ქველმოქმედი გახლდათ. თავისი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი მან შესწირა ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, უნივერსიტეტისათვის ნაკვეთის შეძენას და ჭრა-კერვის ქალთა სკოლას. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მისი მეულიც, სოფიო ბარათაშვილიც, რადგან ამ ქართველი მანდილოსნების სახელთან ერთი ფრიად საგულისხმო ამბავია დაკავშირებული.



სოფიო ცოლად ჰყოლია მიხეილ ივანეს ძე უერბცოვს, ინფანტერიის გენერალსა და სენატორს. ლევან ბარათაშვილი 1874 წლამდე თან ხლებია სიძეს მოსკოვსა და ბოროდინოში, იქ უმსახურია, როგორც ოფიცერს და საქართველოში დაბრუნებისას თან ჩამოუტანია „მკვდარი სულების" მეორე ტომი, საკუთარი ხელით გადაწერილი: ეს ხელნაწერი, ოდნავ დაზიანებული, ამჟამად ნიკო კვეზერელის საოჯახო არქივში ინახება.

იმ დილით იგი მასპინძელს წინ დაედო. შუა გაყოფილ ფურცელზე შესაპირისპირებლად ამოებეჭდა ერთი მონაკვეთი წიგნისეულიც და ხელნაწერისეულიც.

ალაგ-ალაგ ტექსტები ზუსტად ემთხვევიან, ალაგ კი დაშორება თვალსაჩინოა. ერთგან ხელნაწერი ბევრად გრძელია: ამბავი საინტერესო წვრილმანებით არის შევსებული. ერთი შეხედვით — როგორც მხატვრული თხრობის, ისე მწერლის ენასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით — ფრაგმენტები გოგოლისეულად გეჩვენებათ, მაგრამ მათზე მომუშავემ კარგად იცის, რომ წინასწარ რისამე დაბეჯითებით მტკიცება ძნელია და, რომ საჭიროა ეს ამბავი საქმის სპეციალისტებს გაეცნოს. მან მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადადგა — რადგან ხელნაწერმა მოხვენება დაუკარგა.

ძლიერი ბუნების კაცია ნიკო კვეზერელი. რაც უფრო დიდ სიძნელეს ეჭიდება, მით უფრო მეტ ძალას პოულობს საკუთარ თავში. ასაკის გამო არასოდეს შემდრკალა და არ დაუხევია: რაღა დროსხიაო. ხამოც წელს იყო მიტანებული, როცა, მარტოდმარტომ, საკუთარი თავის იმედით გადაწყვიტა, სრულიად ახალ საქმეს შესჭიდებოდა.

და თუმცა საქმე ახალი იყო, ნიკო კვეზერელი მისთვის საუცხოოდ მომზადებული აღმოჩნდა.

პირველ ყოვლისა, შინ უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი პეტერბურგის საინჟინრო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, იქაური ბუკინისტებისაგან იძენდა ყველა საყურადღებო წიგნს კავკასიასა და საქართველოზე. სასურველ ლიტერატურას აწვდიდნენ თბილისელი ბუკინისტებიც. ასე რომ, მის ოჯახში შვიდიათასზე მეტი უნიკალური გამოცემაა თავმოყრილი, ამას ემატება თითქმის სრული სახით შემონახული ძველი პერიოდიკაც. დაცულია პირველი ნომერიც კი „ივერიისა", დათარიღებული 1877 წლის 3 მარტით; მთავარი კი ის გახლავთ, რომ ნიკო კვეზერელი-კოპაძე, ღრმად ერუდირებული ინჟინერი, დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონეცაა. ჯერ კიდევ რევოლუციამდე იცნობდა იგი ჩვენებურ გზებს, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, თორმეტი წლის განმავლობაში, საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს უფროსად მუშაობდა. კადრების დიდი ნაკლებობის გამო, ხშირად თვითონ იყო გზებისა და ხიდების დამპროექტებელიც და მშენებელიც. ერთმა შემთხვევამ მაშინაც გამოამჟღავნა მისი სიყვარული ქართული ხიდებისადმი: დმანისის რაიონში, თბილისიდან 95-ე კილომეტრზე, მდინარე შავწყალაზე მას დაუპროექტებია და აუგია ახალი, იმ ძველი ქართული ხიდების კვალობაზე. ძვირი კი დამჯდარა, მაგრამ ლამაზი და მტკიცე ხიდი გამოსულა.

იმ თორმეტი წლის განმავლობაში მას რამდენჯერმე შემოუვლია საქართველო, სათითაოდ შეუსწავლია ძველი ქართული ხიდები, უძებნია ძველი გზების ნაშთები, დაჰკვირვებია ქარვასლებისა და ფუნდუკების ნანგრევებს, აღურიცხავს, გაუზომავს, ჩაუხატავს, აღუწერია და ფოტოსურათებშიც მოუქცევია ყოველივე მნიშვნელოვანი...

იმ დროს მისთვის მთლად ნათლად ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, რა მიმართულება უნდა მიეცა ამ მასალებისთვის. მამულიშვილის გულისტკივილი და სიყვარული უკარნახებდა ასე მოქცეულიყო, რადგან მოკლე დროში შეიძლება ბევრი რამ დაზიანებულიყო ან განადგურებულიყო.

ამნაირად „შთაგონებული", იგი მარტოდმარტო ახერხებს შეკრიბოს მეტად სანდო და უზარმაზარი მასალა, მკვლევართა მოზრდილ ჯგუფსაც რომ შეაკრთობდა.

ასე თანდათანობით გამოიკვეთა მასში ეს ძლიერი და ნათელი გრძნობა, რომელსაც მამულის მოვლის გრძნობა ჰქვია. 30-იან წლებშივე ხედავდა იგი, რომ სიძველეების პატრონობა აუცილებელი და გადაუდებელი საქმე იყო და რომ იგი ამ აუცილებელსა და გადაუდებელს აკეთებდა.

მაგრამ მის ცხოვრებაში შემოიჭრა მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ტკივილი, რამაც ყველა საქმე უდროოდ გადადო.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაუბრუნდა ნიკო კვეზერელი თავის ქვეყანას, დაუბრუნდა საგზაო ტექნიკუმის რიგით მასწავლებლად.

ამ მასწავლებლობაში, მის მშვიდსა და მყუდრო გარემოში, ერთ დღეს თითქოს შორიდან შემოიჭრა რაღაც ძახილი და გააღვიძა მისი დაუთრგუნველი სული. მოუთმენელმა მღელვარებამ შეიპყრო. და მან მიმართა არქივად გადაქცეულ, გაქვავებულ და ფერფლწაყრილ ფურცლების ზვინებს. და თანდათან იმედი ჩაესახა, რომ ოდესმე შეძლებდა მათი მეოხებით ეთქვა, რაც აწუხებდა.

მის წინ ასპარეზი გაიხსნა.

პირველი წერილი თითქმის სამოც წელს გადაცილებულმა გამოაქვეყნა ჟურნალ „მეცნიერებასა და ტექნიკაში" — „სამშენებლო მასალის შერჩევა ძველ საქართველოში".

იგი წერს ბევრს და გატაცებით. იბეჭდება მარტო ქართულ კი არა, მოსკოვის ჟურნალებშიც.

მის შემოქმედებას ფართოდ უღებს კარს „ძეგლის მეგობარი".

დიდი სიყვარულით იქმნება წიგნები: „საქართველოს ძველი ხიდები" და „გზათა მშენებლობა საქართველოში".

ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია ამ წიგნებში მოქცეული მრავალმხრივი და უმნიშვნელოვანესი მასალების მიმოხილვა; მოკლედ მაინც მარტო, იმის თქმა თუ მოხერხდება, რომ ეს ის წიგნებია, ბევრ ჩვენგანს ღამეებს რომ გაატეხინებს და იმ ერთნაირი, გამუდმებული ზარის ნელ რეკვას ჩაასმენს მშვენიერი ძეგლების შესაშველებლად, ასე მრავლად რომ არის და ჩვენს ყურადღებას მოითხოვს.

თვალწინ გვეშლება ძველი საქართველოს უნიკალური ხიდები, რომლებსაც სხვა ქვეყნის შვილნიც კი განუცვიფრებია: „ქართველებმა ჯერ კიდევ უძველეს ხანაში მიაგნეს პრაქტიკულად თაღის იმ ყველაზე რაციონალურ ფორმას, რომელმაც საშუალება მისცათ ხიდების აგებისა... ეშენებინათ დაუმუშავებელი ფილების უთხელესი კამარები და თანაც ეშენებინათ ისე მკვრივად, რომ ეს ხიდები დღესაც მტკიცედ დგანან და განცვიფრებას იწვევენ დამრეცთაღიანი გაბედული მოხაზულობით, კამარის ეს ფორმა აღმოაჩინეს რამდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე ცნობილი გახდებოდა სტატიკის კანონები, და გაანგარიშების გზით მიაგნეს იმავე ფორმას, რომელსაც თანამედროვე ხიდმშენებლობაში იყენებენ" (ბ. ნადეჟდინი).

და ნიკო კვეზერელი-კოპაძე ახლა მეტი ხიდის სიმშვენიერეს და გამძლეობას, მათს თავგადასახდთა და თითოეულის დღევანდელ მდგომარეობას იმიტომ გვაცნობს, რომ გვითხრას: მიხედეთ ლეღვთახევის ხიდს, რომელსაც ქვის მისასვლელები უკვე შემონგრევია! მიხედეთ წითელ ხიდს, რომელმაც გადაიტანა სამამულო ომის მძიმე ტვირთზიდვა, რომელიც დროდადრო ალაგ-ალაგ ჩაინგრევა ხოლმე — ააგეთ მის გვერდით თანამედროვე ხიდი, იმას კი მოუარეთ და შეინახეთ, რომ „საქართველოს ძველი სახიდე ნაგებობები წარმოადგენენ ჩვენი ეროვნული სიამაყის მატერიალურ ძეგლებს ისევე, როგორც საკულტო ნაგებობები, ციხეები, კოშკები... ჩვენი ვალია, მივმართოთ ყველა ზომას მათი განადგურებისაგან დასაცავად. უნდა გვახსოვდეს, რომ მათ ესაჭიროებათ უფრო მეტი მოვლა-პატრონობა, ვიდრე სხვა... ძეგლებს, რადგან ძველ ხიდებს, გარდა დროისა და ატმოსფერული გავლენისა, უხდებათ წინააღმდეგობის გაწევა მძლავრ, მჩქეფარე მდინარეებთან".

ამავე სულისკვეთებით წეაზავებს მეორე ნაშრომსაც, ძველ გზებს რომ შეეხება: რატომ არ უნდა გადარჩეს ძველი საგზაო სანიშნებელი ნიშნები — ქვაჯვარები თუ ქვასვეტები, ან ქოლაგირის ციხე ქარვასლით, დარეჯან დედოფლისაგან გამახლებული, შთამბეჭდავი თავისი სიმშვენიერით, რომელიც საქონლის ბაკად [illegible].

შესასწავლია ყრუჭიდან შემახასკენ მიმავალი ძველი გზა, ეს საქმე დაუწყია, მაგრამ არ დასცალებია თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორს ალექსანდრე მამულაშვილს, და მისი შრომიდან მარტო ორი კვადრატული ქართული აგური გადარჩენილა, იმ გზის საფენად გამოყენებული, და ორი პირადი ხასიათის ბარათი...

ინჟინერ ნიკო კვეზერელს თვალი კვლავაც საქართველოს გზებისკენ აქვს მიპყრობილი.

უკვე დაუსრულებია და გამომცემლობისთვის ჩასაბარებლად გაუმზადებია ნაშრომი საქართველოს სამხედრო გზის შესახებ. იგი იწყება უძველესი ცნობების გადმოცემით დარიალის ხეობაში არსებულ გასასვლელზე და მთავრდება მისი დღევანდელი დღით. მოთხრობილია მისი ისტორიული დანიშნულების, ღირსშესანიშნაობების, მისი მოსახლეობის, გეოგრაფიის, მისი მშენებლობის, საფოსტო კავშირის, მისი მშენებელი ადამიანების შესახებ... ბევრ მათგანს ხომ პირადადაც იცნობდა.

ამ ჯერ დაუბეჭდავ წიგნსაც ნათელ სხივად დანათის მამულიშვილური ფიქრი. ისე უნდა მოვუაროთ საქართველოს სამხედრო გზას, რომ უმკაცრეს ზამთარშიც კი არ წყდებოდეს მიმოსვლა, რომ ამისათვის საჭიროა მლეთიდან კობამდე გვირაბის გაყვანა, რომლის გამოც რამდენიმე პროექტი ჯერ კიდევ წინა საუკუნეში შედგა.

ამ საკითხზე ნიკო კვეზერელს დაუსრულებლივ შეუძლია ილაპარაკოს. ერთ დროს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომებშიც ხომ დაბეჭდა წერილი ამ გვირაბის აუცილებლობაზე, რომელიც ნიუ-იორკის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ თავის შრომებშიც გამოაქვეყნა.

მთელი გულისყური ამ პატიოსანი მამულიშვილისა მარტო საქვეყნო საქმისაკენ არის მიპყრობილი. გარე სამყაროსადმი უდიდესი ინტერესი ავიწყებინებს საკუთარ ტკივილებს, და ეს წესად ქცეულა მის ცხოვრებაში.

თავისი „უშფოთველი" და „წყნარი" ცხოვრებით, იგი თითქოს ზარებს რეკავს, სადღაც მაღლიდან, ყველას გასაგონად.

რეკავს, რომ ქვეყნის შვილებმა მოუარონ წარსულიდან გადმოცემულ უძვირფასეს ძეგლებს — ძველ ხიდებს და დიდი გზების არსებობის დამადასტურებელ ნაშთებს.

# ყაზბეგობა

ავტობუსი ჯვრის უღელტეხილის დაკეცილ გზას მიუყვება. თანდათან ხეობაში იძირება მლეთა. ზემოთ კი, ალპურ საძოვრებზე სულ უფრო და უფრო მატულობს ცხვრის ფარები.

გვახსენდება ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები და მისი გმირები, უწინარეს ყოვლისა — „ნამწყემსარის მოგონებანი", სვიმონას სიტყვები: „ყველა ხელობის კაცს შეუძლიან მოისვენოს, გადასდოს საქმე, მაგრამ მეცხვარეს კი არა..."

ახლა ალბათ ყველას ფიქრი ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებს დასტრიალებს. ეს ბუნებრივიცაა — ჩვენ ხომ ყველანი ყაზბეგში მივემგზავრებით, სადაც სახალხო დღესასწაული — ყაზბეგობა გველის.

ყაზბეგობას რამდენიმე წელია საძირკველი ჩაეყარა და ტრადიციად დამკვიდრდა. ზეიმი მუდამ ალექსანდრე ყაზბეგის პაპისეული სახლის ეზო-კარში იმართება და დიდძალი სტუმარი იყრის თავს.

ახლაც ასე იყო. კვირას იქაურობა ძლივს იტევდა დღესასწაულზე მოსულთ. სტუმართა შორის იყვნენ: პოეტები ი. ნონეშვილი, ა. გომიაშვილი, აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე, პროფესორები ი. ქავთარაძე და ი. ციციშვილი, საზოგადოება „ცოდნის" სწავლული მდივანი ბ. ბაქურაძე.

სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს ალექსანდრე ყაზბეგის საფლავი.

ზეიმის დასასრულს გაიმართა კონცერტი.

...ავტობუსი კვლავ ჯვრის უღელტეხილისკენ მომავალ გზას მიუყვება. უკან დარჩა ყაზბეგი, სნო, არშა, ვარდისუბანი, სიონი, კობი..., თვალს იტაცებს ამ ადგილების ისტორიული ძეგლები...

მალე განხორციელდება რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება — ამ ისტორიულ ძეგლებს რესტავრაციას ჩაუტარებენ და ამიერიდან საქართველოს სამხედრო გზის ეს მონაკვეთი გზა-მუზეუმი იქნება.

ყაზბეგობაზე გადაწყდა, რომ აქ სახალხო უნივერსიტეტი შეიქმნას და მის რექტორად პროფესორი ვანო შადური აირჩიონ.

ფოტო და ტექსტი

ავთანდილ გურასაშვილისა







# ქურთი პოეტი - შიკოე ჰასანი

თბილისში მცხოვრებ ქურთ პოეტთა შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შიკოე ჰასანს. მისი შემოქმედებითი საქმიანობის საუკეთესო წლები დაკავშირებული იყო საქართველოსთან და კერძოდ, მდიდარი პოეტური ტრადიციების მქონე ქალაქ თბილისთან. შიკოე ჰასანის საფლავის ქვას ძმობისა და სიყვარულის ნიშნად მისივე ხელიხელ საგოგმანებლად გამხდარი ლექსის სტრიქონები ამშვენებენ.

შიკოე ჰასანი ფრიად განსწავლული, ქურთული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე იყო. 1953 წელს დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილება, 1954-1957 წლებში მასწავლებლად მუშაობდა გაგრის რაიონის სოფელ ბალნარეთში. 1959-1961 წლებში იყო სომხეთის რადიოს ქურთულ გადაცემათა რედაქციის თარჯიმანი და ლიტმუშაკი. 1961-65 წლებში შიკოე სწავლობდა ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში, ქურთული ენის სპეციალობით. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ შიკოე ჰასანი თბილისში დაბრუნდა.

შიკოე ჰასანმა ლექსების წერა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო. მისი ლექსები ხშირად იბეჭდებოდა ქურთულ გაზეთ „რია თაზაში" და გადაიცემოდა რადიოთი ქურთულ ენაზე. შიკოე ჰასანის ლექსების პირველი კრებული „ენძელა" გამოიცა 1961 წელს. მას შემდეგ დაისტამბა მისი კიდევ სამი წიგნი: „ქურთული ჩანგი" (1965 წ.), „ქურთის ოცნება" (1971 წ.) და „სამშობლოს ზეალსვლა" (1977 წ.). შიკოე ჰასანის ნაწარმოებები ითარგმნა და დაიბეჭდა ქართულ, რუსულ, სომხურ და სხვა ხალხთა ენებზე. მისი საუკეთესო ლექსები იბეჭდებოდა უცხოურ ქურთულ ჟურნალებსა და გაზეთებში, შესულია ქურთული პოეზიის ანთოლოგიებსა და რჩეულ კრებულებში.

შიკოე ჰასანის შემოქმედებამ იმთავითვე მიიპყრო ქურთი მკითხველი საზოგადოების ყურადღება და საყოველთაო აღიარება ჰპოვა. ეს ის დრო იყო, როცა ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირში მოსახლე ქურთებს ყველა პირობა შეექმნა საკუთარი კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. 50-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ქურთი მწერლებისა და პოეტების ახალი თაობა, რომელმაც მოძმე ხალხთა ლიტერატურული ტრადიციებით გამდიდრებულმა კლასიკურ ქურთულ ლექსზე დაყრდნობით, თანამედროვე ქურთული პოეზია ახალ დონეზე აიყვანა და მას ახალი სურნელება შემატა. ამ თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი და ტონის მიმცემი გახლდათ შიკოე ჰასანი. მან თანამედროვე თემატიკით გაამდიდრა ქურთული საბჭოთა პოეზია, მოძებნა ქურთული ლექსის წყობის ახალი ფორმები და ხერხები.

შიკოე ჰასანის პოეზია მრავალფეროვანია. მის ლექსებში დიდი ადგილი უჭირავს ოქტომბრის რევოლუციისა და ჩვენი დიდი ბელადის თემას.

შიკოე ჰასანის ყოველ ლექსში, იქნება იგი პატრიოტული თუ ინტიმური გრძნობით გამსჭვალული, ღრმა აზრია ჩაქსოვილი. იგი ცხოვრებისეული გამოცდილებითაა შექმნილი. განსაკუთრებით საინტერესოა ის ციკლი, რომელიც ეძღვნება ქურთების ცხოვრებას. პოეტის ბევრი ლექსი მშობლიური ქურთული ენის უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის საგალობელია.

შიკოე ჰასანი ხალხთა მეგობრობის მომღერალია. იგი მთელი გრძნობით უმღერის საბჭოთა ქვეყანას, მისი პოეზია გამსჭვალულია ქართველი ხალხისა და მზიური საქართველოს წრფელი სიყვარულით. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსების ციკლი „საქართველო", „თბილისი", „შოთა რუსთაველი", „აფხაზეთის გაზაფხული" და სხვ.

მდიდარია მისი პოეტური სიტყვის საგანძური, პოეტის შემოქმედებას ხალხური ზეპირმეტყველება ასაზრდოებდა, რომლის კარგი მცოდნეც იგი იყო.

შიკოე ჰასანმა თავისი შემოქმედებით დიდი წვლილი შეიტანა ქურთული პოეზიის განვითარების საქმეში, დასაბამი მისცა ლექსთწყობის ახალ ფორმას, აზრობრივად გაამდიდრა. შიკოე ჰასანი გარდაიცვალა 1976 წელს, შემოქმედებითი გაფურჩქვნის პერიოდში, მას ხელნაწერების სახით ბევრი ლექსი დარჩა, რომელიც მოელის დღის სინათლესა და აღიარებას.

ქერიმ ანუოსი

# ქართული ჟურნალისტიკის ნარკვევები

გამომცემლობა „მეცნიერებამ" შარშან და წელს გამოსცა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის განყოფილების ორი კრებული „ქართული ჟურნალისტიკის ნარკვევები". პირველ კრებულში დაბეჭდილია შ. სააკაძის, რ. ჩხარტიშვილის, ნ. ტაბიძის, თ. მანგოშვილისა და ნ. სალირაშვილის ნარკვევები.

შალვა სააკაძის ნარკვევში გაანალიზებულია სალიტერატურო კრიტიკა ჟურნალ „ივერიაში".

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში გამოდიოდა ქართველ ახალგაზრდა მწერალთა ჟურნალი „ჩვენი თაობა". რ. ჩხარტიშვილი ნათელყოფს ჟურნალ „ჩვენი თაობის" დამსახურებას ქართული საბჭოთა კრიტიკული აზრის განვითარებაში.

ნოდარ ტაბიძის ნარკვევი „ზოგიერთი პუბლიცისტური ტერმინის შესახებ" არკვევს ზოგიერთ პუბლიცისტურ ტერმინს („სტატია", „ფელეტონი", „ნარკვევი", „მიმოხილვა" და სხვ.).

აქვეა, თამარ მანგოშვილის ნარკვევი „ი. ჭავჭავაძის 60-იანი წლების სოციალური ლირიკის ეთიკური საწყისებისათვის".

ნათელა სალირაშვილის ნაშრომი „გ. წერეთლის ერთი დავიწყებული ნაწარმოების გამო" ეხება გიორგი წერეთლის ნარკვევს „მიმოსვლა რუსეთისაკენ", რომელიც პირველად 1869 წლის „დროების" ოთხ ნომერში დაიბეჭდა, ხოლო შემდგომ იგი მწერლის ნაწარმოებთა არც ერთ გამოცემაში არ შესულა.

„ქართული ჟურნალისტიკის ნარკვევების" II კრებულში დაბეჭდილია რ. ჩხარტიშვილის, შ. რატიანის, შ. სააკაძისა და მ. ტყეშელაშვილის ნარკვევები.

რევაზ ჩხარტიშვილი ნარკვევში „ქართული ახალგაზრდული პოეზია ჟურნალ „ჩვენ თაობაში"", აანალიზებს 30-იანი წლების ქართველ ახალგაზრდა პოეტთა ლექსებს.

შალვა რატიანის ნარკვევში „ქართული პუბლიცისტიკა ჟურნალ „ცისკარში" 1857-1861 წლებში" გაანალიზებულია ქართული პუბლიცისტიკის განვითარების გზები XIX საუკუნის 50-იან წლებში და ნაჩვენებია ჟურნალ „ცისკრისა" და მისი რედაქტორის ივ. კერესელიძის როლი აღნიშნული ჟანრის განვითარების საქმეში.

შალვა სააკაძის ნაშრომში „ლიტერატურული კრიტიკა გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში"" განხილულია ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები და წერილები, ნაჩვენებია გაზეთის როლი ქართული კრიტიკის განვითარებაში.

მანანა ტყეშელაშვილის ნარკვევი „პუბლიცისტიზმი ი. ჭავჭავაძის 60-იანი წლების პროზაში" აშუქებს, თუ რა ფუნქცია უჭირავს პუბლიციზმს მწერლის მხატვრულ ნაწარმოებებში.

# სახლის შენება

კაცი ისე არ უნდა წავიდეს ამ ქვეყნიდან, რომ კარგი სახელი არ დატოვოს.

იმ დღეს ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშაში ზეიმით გაიჭრა მრავალშვილიანი ოჯახის — ნელი და ვენია ღვამბერიების ახალი სახლის ბალავარი. სახლის საძირკველიც ჩაყრას პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვახტანგ ესვანჯიაც ესწრებოდა. მან ათი შვილის დედას გადასცა ნობათი — სამი ათასი მანეთი, რომელიც მრავალშვილიან ოჯახს მწერალმა კიტა ბუაჩიძემ თავისი ჰონორარის დანაზოგი თანხიდან გამოუგზავნა.

მწერალ კიტა ბუაჩიძეს ასეთი საქველმოქმედო საქმე პირველად როდი გაუკეთებია. მას კარგად იცნობენ სვანეთის, ჭიათურის რაიონის მრავალშვილიანი დედები, იცნობენ თბილისელი დედებიც, რომელთა ოჯახშიაც აკვანი განუწყვეტლივ ირწევა. ცნობილმა დრამატურგმა კარგად იცის დიდი ჭეშმარიტება: დანაზოგ ფულს მაშინ აქვს მადლი, როცა სკივრში კი არ ჩაკეტავ. მამულიშვილურ საქმეს მოახმარ...

ღვამბერიების ოჯახში მწერლის მიერ გაგზავნილმა ნობათმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა, ამ ფაქტის შესახებ საქართველოს რადიომ მთელს ჩვენს რესპუბლიკას ამცნო, მერე წამოვიდა რადიომსმენელთა წერილების ნაკადი რადიოს მისამართით. იწერებოდნენ ქალაქისა და სოფლის მცხოვრებნი, მეცნიერი და მუშა, დიასახლისი, სტუდენტი, კოლმეურნე.

აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის კოლმეურნე ნორა ვაჩეიშვილი წერდა:

„ცხრა შვილის დედა ვარ, ყველა შვილი დაოჯახებულია. მყავს 28 შვილიშვილი და შვილთაშვილიშვილი, დიდია ჩემი სახარული. კარგი შვილების გაზრდა ადვილი საქმე როდია. ამ სიძნელეს აადვილებს მთავრობის დიდი ზრუნვა და დახმარება, რაც არც მე მომკლებია. მიხარია, რომ ყველა გვერდით ამოუდგა ათი შვილის დედას, გამრავლდით, იბედნიერეთ..."

კიდევ ერთი წერილი თიანეთის რაიონის სოფელ ჟებოტიდან: „ძვირფასო რედაქციავ, გწერთ თერთმეტი შვილის დედა ქენია საღირაშვილი. გულზე მალამოსავით მომეცხო, ყველა რომ გვერდით ამოუდგა მრავალშვილიან დედას. გამახარა ცნობამ რადიოთი რომ მოვისმინე. დაილოცოს, გაიხაროს ეგეთმა ხალხმა. თქვენ გაიხარეთ!"

მშენებლებმა — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა თანდიკო ძიძიგურმა და მისმა ვაჟმა, რესპუბლიკის კომკავშირის პრემიის ლაურეატმა გივი ძიძიგურმა ჩემოდანში ჩაალაგეს სამშენებლო ხელსაწყოები და ღვამბერიების სახლის მშენებლობას მიაშურეს. მათ გვერდით სხვა ბევრი მოხალისეც მუშაობდა. აგებდნენ მრავალშვილიანი ქართველი დედის ახალ ბინას, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, კოლმეურნეობა „გამარჯვების" მეჩაიე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ეთერ დადიანი და მისი მეუღლე; ოთხმოცი წლის კოლმეურნე იოსებ ლოჩიშვილი, ცხაკაიას რაიონის მთავარი არქიტექტორი ბენიამინ არახაია და ახალგაზრდა ინჟინერი დათო კახიანი. ახალი სახლის მშენებლობაზე ცოლ-ქმარი შურა და ვარდენ ჭითაიებიც მოვიდნენ, რომელთაც სამშობლოს თხუთმეტი შვილი გაუზარდეს და ჩვენი დადებული აგური უფრო მტკიცე იქნებაო — მათ თან თავიანთი შვილებიც მოიყვანეს.

აიწია კედლებმა, გალამაზდა და გამშვენიერდა, გამოკოპწიდა ღვამბერიების ახალი სახლი.

აქვე უნდა ვთქვათ რადიოს მეორე კარგ საქმეზე, ახალ, შესანიშნავ ციკლზე — „ჩვენი იმედი და მომავალი".

ყველასათვის ცნობილია, რომ მოსახლეობის გამრავლების ტემპი ჩვენს რესპუბლიკაში მკვეთრად შემცირდა. შემცირდა იმ დედების რიცხვი, რომლებიც მამულს სამოთხ შვილზე მეტს უზრდიან. ახალი ციკლი, რომელიც საქართველოს რადიომ წამოიწყო, სწორედ ამ მეტად სერიოზულ საკითხს ეხება.

ციკლი „ჩვენი იმედი და მომავალი" გახსნა აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა, რომელიც საერთოდ სათავეში უდგას ამ ციკლს. მოსახლეობის გამრავლებასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ზ. ბიბილეიშვილმა, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ჯაოშვილმა, ექვსი შვილის დედამ ინჟინერმა მერი ხუხუამ, ი. ჟორდანიას სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ჯ. ბაქრაძემ.

მწერლები, მეცნიერები, ჟურნალისტები, სხვანი და სხვანი მეტად საყურადღებო წინადადებებს აყენებენ ამ პრობლემის მოფიქრებულად და ჭკვიანურად გადაწყვეტისათვის.

საუბარი გრძელდება, ყველას შეუძლია ისარგებლოს რადიოს დიდი ტრიბუნით და თავისი მოსაზრებები გამოთქვას ამ საკითხზე.

საქართველოს რადიოს ეს წამოწყებები, რასაკვირველია, მისასალმებელია და მოსაწონი.

როდამ ჩაჩანიძე

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ მწერალ ზურაბ ახვლედიანს შვილის

გიორგის

გარდაცვალების გამო.

გამოდის პარასკეობით

ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,

რედაქციის მისამართი,

380004, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 7.

ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-64, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ლვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17.

უე 03858